პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 193 (20234) — კვირა, 21 აგვისტო, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

არის წლიური გეგმა!

შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს მხვნელ-მთესველებმა. 19 აგვისტოსათვის მათ წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 60 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფო ბეღლებში დაბინავდა 62 ათასი ტონა მარცვლეული.

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი წითელწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, ყვარლის, მარნეულისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

მარცვლეულის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა გრძელდება.

▼ ▼

მეშახტის დღის აღსანიშნავად

ტყიბული. ლენინის სახელობის შახტის მეექვსე უბნის კოლექტივი მეშახტის დღის აღსანიშნავად ღირსეულ საწარმოო საჩუქრებს ამზადებს: აქ შვიდ თვესა და 18 დღეში გეგმის გადაჭარბებით მოიპოვეს 2700 ტონა ქვანახშირი. ამის გარდა გაიყვანეს 25 გრძივი მეტრი სამთო გვირაბი, ყოველი ტონა სათბობის თვითღირებულება კი 14 კაპიკით შეამცირეს.

დღესასწაულისწინა შრომითი ვახტის დღეებში ყველაზე მეტი ქვანახშირი მოიპოვეს ძმებმა ვარლამ და ვიქტორ ტურძელაძეებმა, ს. ბირკაიამ, შ. ჯულაყიძემ და სხვებმა, რომლებმაც 3-3 თვით გაუსწრეს კალენდარს.

▼ ▼

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

18 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაცია. მის შემადგენლობაში არიან ფირმა „შტაიგენბერგერის" გამგეობის თავმჯდომარე დ. ბაუერი, ფირმა „შტადლბაუერის" პრეზიდენტი ფ. ნორბერტი, რაინლანდის მხარის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი დ. ბრანდჰოფი და სხვები. მათი ჩამოსვლის მიზანია ტურიზმის განვითარების, რესპუბლიკის კურორტებზე სასტუმროთა მშენებლობის სფეროში „საქკურორტთან" თანამშრომლობის დარგების განსაზღვრა, საქართველოში საკურორტო საქმის სრულყოფა.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობა მიესალმება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან საქმიანი თანამშრომლობის განვითარებას, ეკონომიკისა და ვაჭრობის სხვადასხვა დარგში კონტაქტების დამყარებას.

დ. ბაუერმა თქვა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს საქართველოს ცხოვრებისადმი, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმიანი წრეები ცდილობენ ფართო კონტაქტები დაამყარონ საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, დაწესებულებებთან და საწარმოებთან სხვადასხვა სფეროში.

ორბიტის ამბები

ფრენის მართვის ცენტრი. გრძელდება ვლადიმერ ტიტოვისა და მუსა მანაროვის კოსმოსური ვახტი „მირ" ორბიტულ კომპლექსში.

ეკიპაჟის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ექსპერიმენტებს „კვანტ" მოდულის სამეცნიერო აპარატურის გამოყენებით. ყოველდღიურად ეწყობა ასტროფიზიკური ობიექტების გამოკვლევის რამდენიმე სეანსი ტალღების სხვადასხვა დიაპაზონით. 18 აგვისტოს „გლაზარ" ულტრაიისფერი ტელესკოპის საშუალებით შესრულდა ვარსკვლავიანი ცის ცალკეული უბნების ფოტოგადაღება ალფა გველმჭერის მახლობლად. დღეს „რენტგენ" ობსერვატორიის ტელესკოპებით დააკვირდებიან რენტგენულ პულსარს სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედში.

გუშინ ვლადიმერ ტიტოვსა და მუსა მანაროვს დასვენების დღე ჰქონდათ. მათ დაალაგეს კომპლექსის ნაკვეთურები და დაისვენეს. ორივე კოსმონავტი თავს კარგად გრძნობს. ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

▼ ▼

ახალი ელექტროგადამცემი ხაზი

ჩაირთო ქსან-აზერბაიჯანის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ახალი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი, რაც გაზრდის საქართველოს დედაქალაქის ელექტროენერგიით მომარაგების საიმედოობას.

თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში დამთავრდა №1 და №6 ორი ენერგობლოკის კაპიტალური რემონტი და მოდერნიზაცია. ამ ენერგობლოკებზე დადგეს უფრო მძლავრი და ექსპლოატაციისათვის საიმედო აგრეგატების კვანძები, რაც 30 ათასი კილოვატით გაზრდის სადგურის სიმძლავრეს.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის წილად მოდის რესპუბლიკაში გამომუშავებული მთელი ელექტროენერგიის ნახევარზე მეტი, მაშინ გასაგებია, თუ რატომ ენიჭება ასეთი დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა მის რეკონსტრუქციას.

თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურზე ნაკლებ ელექტროენერგიას როდი გამოიმუშავებს ენგურის ჰიდროელექტროსადგური. და აქაც განხორციელდა სადგურის მოდერნიზაციის დიდი სამუშაოები; ჯვრის წყალსაცავში მიღწეულია მისი ავსების საპროექტო ნიშნული — 510 მეტრი ზღვის დონიდან. ქართველი ენერგეტიკოსები განაგრძობენ მზადებას შემოდგომა-ზამთრის პირობებში მუშაობისათვის.

ანგარიშგება-არჩევნები გარდაქმნის სახეა

ახლებურად მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნების კამპანია, რომელიც პარტიაში დაიწყო XIX საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. პარტიული კომიტეტები თავიდან წყვეტენ ბევრ ორგანიზაციულ საკითხს პოლიტიკური სისტემის რეფორმის განხორციელების, საზოგადოებისა და პარტიის ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის პირობებში. მიმდინარეობს გულახდილი, წრფელი, ნამდვილად პარტიული სჯა-ბაასი იმის შესახებ, თუ როგორ მონაწილეობს თითოეული კომუნისტი გარდაქმნაში, რა კონკრეტული წვლილი შეაქვს საზოგადოების რევოლუციური განახლების იდეების რეალიზაციაში. სწორედ ახლანდელი ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის თავისებურების გამო საქინფორმის კორესპონდენტმა პ. არწივაძემ სთხოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგეს პ. ჩხეიძეს პასუხი გაეცა მთელ რიგ შეკითხვებზე.

— როდესაც ყოველი ახალი საქმის განხორციელებას ჰკიდებ ხელს, უნებლიეთ გახსენდება წინა წლების გამოცდილება, აანალიზებ მას. ალბათ, ამ პრინციპს ადგანან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ახლანდელი ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის სამზადისში.

— უდავოდ. რესპუბლიკაში ანგარიშგება-არჩევნების კამპანიების მოწყობის მნიშვნელოვანი გამოცდილებაა შეძენილი. მაგრამ მე ვიტყოდი, რომ ეს ნაირგვარი გამოცდილებაა. გვაქვს ბევრი რამ სასარგებლო და საჭირო, მაგრამ გვაქვს ისიც, რაც ბოჭავს პარტიული კომიტეტების, პირველადი ორგანიზაციების ინიციატივას. XIX პარტკონფერენციის დამთავრებისთანავე, როდესაც ანგარიშგება-არჩევნების სამზადისს შევუდექით, ჩვენ მოვეთათბირეთ პარტიული კომიტეტების, ძირეული რგოლების მდივნებს, და შევეცადეთ დეტალურად გავრკვეულიყავით ამ გამოცდილებაში. განვსაზღვრეთ, რა გამოგვადგება და რაზე უნდა ვთქვათ უარი, მუშაობის რა ახალი, დროების შესატყვისი ფორმები და მეთოდები დავნერგოთ პრაქტიკაში პარტიული კომიტეტების ინიციატივის, ყველა კომუნისტის აქტიურობის გასაძლიერებლად. ეს საკითხები ბევრმა პარტიულმა კომიტეტმა განიხილა ანგარიშგება-არჩევნების კამპანიისათვის მზადებისადმი მიძღვნილ სპეციალურ პლენუმებზე. პლენუმის წევრთა და კომუნისტ-სპეციალისტთაგან შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც შეიმუშავებენ წინადადებებს მუშაობის დიდმნიშვნელოვან მიმართულებათა მიხედვით, როგორიც არის დემოკრატიზაციის შემდგომი განვითარება პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში და მეტადრე საკადრო პოლიტიკაში, დისციპლინის განმტკიცება, ახალი ეკონომიკური მექანიზმის დანერგვა, სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების დამკვიდრება, სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.

მთელი ამ გაწეული მუშაობის შედეგად გამოტანილი დასკვნა საკმაოდ კონკრეტულია: რა თქმა უნდა, საჭიროა გამოირიცხოს ორგანიზაციული გადამლაშება, წვრილმანი მეურვეობა, არ უნდა იგზავნებოდეს ზემოდან საკონტროლო ციფრები, განაწესი დელეგატთა შემადგენლობის თაობაზე, რაც უთუოდ უნდა გაეთვალისწინებინათ არჩევითი ორგანოების წევრებს, პირველადი პარტორგანიზაციის მდივნებს და ა. შ. მაგრამ არც ამ პროცესის თვითდინებაზე მიშვება იქნება. იგი უნდა ვმართოთ.

— კი, მაგრამ, რა ფორმებითა და მეთოდებით? წინათ ხომ არაერთგზის მომხდარა, რომ ზოგიერთებს მმართველობა გაუგიათ როგორც განუყოფელი უფლება თავს მოახვიონ საკუთარი ნება სხვებს. როგორ ავიცილოთ ეს თავიდან წლევანდელი ანგარიშგება-არჩევნების პირობებში?

— ძირითადი გარანტიები, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ ამ საქმეში ძველი შეცდომების გამეორებას, ჩამოყალიბებულია პარტიული კონფერენციის რეზოლუციებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „პარტიულ ორგანიზაციათა ანგარიშგება-არჩევნების შესახებ", სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა ყველგან დავამკვიდროთ პარტიული ამხანაგობის, საკითხთა თავისუფალი განხილვის საჯაროობის, კოლექტივიზმის ატმოსფერო. სწორედ ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით შევეხებით ზოგიერთ საკვანძო მომენტს.

დავიწყებ თვით ანგარიშიდან. იგი ნამდვილად უნდა გახდეს ყველა კომუნისტის, თითოეული პარტორგანიზაციის კოლექტიური შრომის შედეგი. ამიტომ საჭიროა ამ მუშაობაში ჩავაბათ რაც შეიძლება მეტი რიგითი კომუნისტი და არჩევითი აქტივი. ხოლო იმისათვის, რომ პარტიული ორგანიზაციის ბიუროსა და კომიტეტის საქმიანობის შეფასებისას გამოირიცხოს ყოველგვარი ვოლუნტარიზმი და სუბიექტივიზმი, მიზანშეწონილია მოეწყოს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. ამის მეოხებით საანგარიშო მოხსენებაში აისახება კონკრეტული წინადადებანი, შრომითი კოლექტივის ყველა წევრის შენიშვნები და სურვილები. კომუნისტებმა ღრმად უნდა გააანალიზონ, როგორ ხორციელდება კონკრეტულ უბნებზე და რეგიონებში სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები, XIX პარტკონფერენციის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმის დებულებები, როგორ შეესაბამება მათ ადგილებზე მიმდინარე ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა. ამასთან საჭიროა თვითკრიტიკულად და პრინციპულად მივუდგეთ პარტორგანიზაციებისა და არჩევითი ორგანოების საქმიანობის სტილისა და მეთოდების, საერთო საქმეში ყოველი კომუნისტის მიერ შეტანილი წვლილის შეფასებას.

უდავოდ, სასარგებლო იქნება XIX პარტკონფერენციის დელეგატთა ყველაზე აქტიური მონაწილეობაც ანგარიშგება-არჩევნებში. ადამიანებს დიდად აინტერესებთ, რა ატმოსფერო სუფევდა კონფერენციაზე, მყისვე იხსომებენ ნებისმიერ საინტერესო დეტალს და ცდილობენ გამოიყენონ იგი თავისთან ბევრი აქტუალური პრობლემის გადაწყვეტისას.

და ყველაზე მთავარი: საჭიროა მეტს ვეთათბირებოდეთ კომუნისტებს, უნდა ვიზრუნოთ ანგარიშგება-არჩევნების ფართო საჯაროობისათვის. სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, რომლებიც წინასწარ აქვეყნებენ საანგარიშო მოხსენებათა თეზისებს შესაბამის საქალაქო და რაიონულ, მრავალტირაჟიან გაზეთებში. ეს შესაძლებლობას აძლევს ჩაებან ღია დისკუსიაში არა მარტო მრავალი კომუნისტი, არამედ უპარტიოებიც. პერიოდულ გამოცემათა ფურცლები, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი ამ უმნიშვნელოვანესი კამპანიის მოწყობის მთელი პერიოდის მანძილზე ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვადასხვა კატეგორიის მშრომელებისათვის, რათა გამოთქვან თავიანთი აზრი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის, ცხოვრების ყველა სფეროს განახლების პრობლემების შესახებ. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ ჟურნალისტებს. ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობის გაშუქებისას ისინი არ უნდა დასჯერდნენ მშრალ ოქმსა თუ ნაჩქარევ ანალიზს. ადამიანებმა უნდა მიიღონ დაწვრილებითი ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილებების, იმათ შესახებ, ვის და რისთვის ირჩევენ ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში; ვის უწევენ ნდობას, ვის უნდა მოსთხოვონ პასუხი დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებებისათვის, უნდა მიიღონ საქმის მდგომარეობის ობიექტური ანალიზი. მიზანშეწონილია, საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და პარტკონფერენციებისათვის მზადების პერიოდში დადგენილების პროექტი ასევე გამოვიტანოთ კომუნისტების, საზოგადოებრიობის განსახილველად.

(დასასრული მე-2 გვ.).

21 აგვისტო სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა

საბჭოთა სამშობლოს საბრძოლო ფრთები

21 აგვისტოს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს. ეს ტრადიციული დღესასწაული, რომელიც ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გახდა, სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობის საბრძოლო გაწვრთნილობის, საბჭოთა საავიაციო მეცნიერებისა და ტექნიკის, ავიამრეწველობის, სამოქალაქო ავიაციის მუშაკთა, დოსააფის მფრინავი სპორტსმენების, ყველა იმათი მიღწევების დათვალიერებაა, ვინც თავისი თავდადებული შრომით განამტკიცებდა და კვლავაც განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს საჰაერო ფლოტს.

წლეულს საჰაერო ფლოტის დღე აღინიშნება დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოიწვია XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, რომლებმაც დაადასტურეს პარტიის თანამიმდევრული კურსი საბჭოთა საზოგადოების რევოლუციური განახლებისათვის, გარდაქმნის თეორიისა და პრაქტიკის გაღრმავებისათვის, რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელებისათვის, საბჭოთა საზოგადოების ყველა მხარის ფართო დემოკრატიზაციისათვის.

საბჭოთა ავიაციის ისტორია, მისი ჩამოყალიბება განუყრელად არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელთან, რომლის პირდაპირი მითითებით უკვე რევოლუციის შემდეგ მესამე დღეს შეიქმნა ავიაციისა და ჰაერნაოსნობის კომისართა ბიურო. სამოქალაქო ომის ფრონტებზე და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის წლებში ეყრებოდა საფუძველი საბჭოთა ავიატორების საბრძოლო ტრადიციებს, იზრდებოდა მათი საფრენოსნო ოსტატობა. უჭკნობი დიდებით შეიმოსეს თავი იმ ავიატორებმაც, რომლებიც იდგნენ ამიერკავკასიის სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო გზის სათავეებთან, მე-11 არმიის შემადგენლობაში შეუპოვარი ბრძოლებით უზრუნველყოფდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში. ესენი არიან მფრინავები ა. პეტრენკო, ს. სობოლევსკი, ბ. კუდრინი, სამხედრო მფრინავი ვ. მელნიკოვი და სხვები.

ამიერკავკასიის ავიაციის ისტორიაში არის ასეთი საინტერესო ეპიზოდიც, როცა 1921 წლის თებერვალში აჯანყებული ქართველები მე-11 არმიის ნაწილებთან ერთად მიუახლოვდნენ ბათუმს, მენშევიკურმა მთავრობამ სცადა დაერწმუნებინა ავიარაზმის მფრინავები, რომელსაც მეთაურობდა პოლკოვნიკი მ. მაჭავარიანი, წასულიყვნენ ემიგრაციაში თურქეთში. მაგრამ მფრინავებმა არათუ უარი თქვეს ამაზე, საზღვარგარეთ არ გაიტანეს ავიატექნიკა. ყველა თვითმფრინავი და ავიაქონება შემდგომში გადაეცა კავკასიის ცალკე არმიის საჰაერო ფლოტს.

შემდეგ მიხეილ სერგის ძე მაჭავარიანი სარდლობდა 44-ე ცალკე ავიარაზმს, რომელიც 1927 წელს წარმატებით გადაფრინდა დიდი კავკასიონის ქედზე და ჩაფრინდა მოსკოვში. ასე გაიდო რეგულარული საჰაერო ხაზი თბილისი-მოსკოვი. ამიერკავკასიის წარმომადგენლები იყვნენ ესპანეთის ცაში მეომარ ინტერნაციონალისტ ავიატორთა შორისაც. მამაცობისა და გმირობისათვის მფრინავებს ი. პეტროვს, ა. იაკოვენკოს, ვ. ნანეიშვილს, ა. ოსიპენკოს, პ. დენისოვს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭათ.

ამიერკავკასიელი ავიატორები მამაცურად იბრძოდნენ დიდი სამამულო ომის წლებშიც. 1942 წლის ზაფხულიდან 1943 წლის ოქტომბრამდე შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის უზარმაზარ სივრცეზე გაჩაღებულ გააფთრებულ ბრძოლებში ისინი წარმატებით ანადგურებდნენ მტერს ამიერკავკასიის ფრონტის შემადგენლობაში. ექვსი თვის განუწყვეტელი ბრძოლების მანძილზე მათ მოსპეს გერმანიის 695 თვითმფრინავი, დიდძალი ცოცხალი ძალა, საბრძოლო ტექნიკა და იარაღი. კავკასიისათვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის 73 მფრინავს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება. მათ შორის არიან სახელგანთქმული ასები ა. პოკრიშკინი, გ. რეჩკალოვი, პ. კრიუკოვი, ვ. სემენიშინი, ვ. ფადეევი და სხვები. ჩვენ ვამაყობთ აგრეთვე იმით, რომ 350 მფრინავს შორის, რომლებმაც გაიმეორეს ნიკოლოზ გასტელოს უჭკნობი გმირობა, იყო ქართველი ხალხის სახელოვანი შვილიც კაპიტანი ნიკოლოზ აბრამიშვილი.

ამიერკავკასიელ ავიატორთა ახლანდელი თაობა ღირსეულად განაგრძობს ფრონტელთა საბრძოლო ტრადიციებს. მაღალი იდეური წრთობა, სამშობლოს სიყვარული, თანამედროვე საავიაციო ტექნიკისა და იარაღის საფუძვლიანი ცოდნა ხელს უწყობს მათ მიაღწიონ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს საბრძოლო სწავლებაში. სწორად ამბობენ: „ცხოვრებაში ყოველთვის არის გმირობის ადგილიო". იმათ შორის, ვისაც უკვე მშვიდობიან დროს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება, ამიერკავკასიელი ავიატორებიც არიან.

კაპიტანი გენადი ელისეევი უყოყმანოდ ტარნავდა თვითმფრინავს — სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დამრღვევს. მამაცი მფრინავი დაიღუპა, მაგრამ მან ბოლომდე მოიხადა მხედრული ვალი. არ შემდრკალა ავღანეთის ცეცხლოვან ცაში პოდპოლკოვნიკი პეტრე ვასილის ძე რუბანიც, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად უზრუნველყო სამხედრო დავალების შესრულება. ამ მამაცი მფრინავების ხსოვნა მარად დარჩება ამიერკავკასიელ მეომართა გულში.

ნამდვილი საბჭოთა ინტერნაციონალიზმი, [illegible] ზოგიერთმა ამიერკავკასიელმა ავიატორმა შარშან ზამთარშიც, როცა მათ მოუხდათ მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში.

დაძაბული გამოდგა საბჭოთა შეიარაღებული ძალების 70 წლისთავის წელი ამიერკავკასიელი ავიატორებისათვის. ცაში და დედამიწაზე, სასწავლო კლასებში და პოლიგონებზე ისინი ბეჯითად სრულყოფენ საფრენ-ტაქტიკურ და საცეცხლე გაწვრთნილობას, სწავლობენ საბრძოლოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ ვითარებაში ოსტატურად გამოიყენონ საავიაციო ტექნიკა. სწავლასა და სამსახურში მაგალითს იძლევიან კომუნისტები. ისინი წარმოადგენენ იმ ბირთვს, რომელიც აერთიანებს მხედრულ კოლექტივს, რაზმავს მათ საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი ამაღლებისათვის, მხედრული დისციპლინის, წესრიგისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის, მხედრულ შრომაში მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

საავიაციო ნაწილებისა და ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობა აქტიურად ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში ლენინური კომკავშირის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ მეომართა კოლექტივები, სადაც მსახურობენ ოფიცრები ა. ანტონოვიჩი, ვ. ლაპატოვი, ა. ოხოტნიკოვი და სხვები. აქ ბევრი რამ კეთდება სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის, პატიოსანი სამსახურის ავტორიტეტის ამაღლებისათვის, აქტიურად იბრძვიან მხედრული შრომის მაქსიმალური ინტენსიფიკაციისათვის. ახლახან გამართულმა საფრენოსნო-ტაქტიკურმა წვრთნამ დაადასტურა მფრინავთა და ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობის პროფესიული გაწვრთნილობა, მათი მზადყოფნა ყველაზე რთული და პასუხსაგები სასწავლო-საბრძოლო ამოცანების შესრულებისათვის.

ამიერკავკასიელი ავიატორები ფხიზლად დგანან სოციალიზმის მონაპოვართა, ჩვენი სამშობლოს სამხრეთ საზღვრების სადარაჯოზე, ისინი მუდამ მზად არიან ღირსეულად შეასრულონ პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობა.

ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი **ა. არხაროვი.** (საქინფორმი).

ათი წელი შესრულდა, რაც თბილისის სამოქალაქო ავიაციაში კომუნისტი ნინო დოლიძე ბორტგამცილებლად მუშაობს.

საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქების გარდა საზღვარგარეთის ბევრ ქალაქშია ნაფრენ-ნამყოფი ნ. დოლიძე.

ხომალდ ტუ-154-ის ეკიპაჟი და მისი მგზავრები ყოველთვის კმაყოფილი არიან მისი მაღალკვალიფიცირებული მომსახურებით. ახალგაზრდა დედა ნ. დოლიძე წუხელ ჩამოფრინდა მორიგი რეისიდან — ბერლინიდან. მანამ კი პრაღა, ჰელსინკი, დრეზდენი, ვარნა...

მშვიდობიან ცას გისურვებთ თქვენი ხომალდის ეკიპაჟსა და ყველა თქვენს კოლეგას, ძვირფასო ავიაციის მუშაკებო.

სურათზე: ნინო დოლიძე მორიგი რეისის შემდეგ.

ვ. ბენბიურის („კომუნისტი") ფოტო.

მოვემზადეთ ზამთრისათვის?

სულ ორიოდე თვე და დადგება ელექტროენერგიის მოთხოვნის მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებული დაძაბული პერიოდი, ე. წ. „პიკის" სეზონი. სამწუხაროდ, შემოდგომა-ზამთრისათვის დროული მზადება ზაფხულის პაპანაქებაში ხშირად ან სადღეისოდ გვავიწყდება, ან სახვალიოდ გასაკეთებელ საქმეს სახვალიოდ გადავდებთ ხოლმე და ამით ვირთულებთ მდგომარეობას.

ცხოვრებამ ნათლად ცხადყო, რომ ხვალისთვის მოსაგვარებელი საქმის გადადებით იშვიათად თუ მიაღწევ შედეგს. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როცა საკითხი სიცივის მოახლოებას ეხება. ვინ იცის რამდენჯერ თქმულა და დაწერილა, რომ ზამთრისათვის გამიზნული ღონისძიებების განხორციელებას „პიკის" სეზონის დამთავრების პირველ დღეებიდანვე უნდა შევუდგეთ, მაგრამ ამის გაგება ბევრ სამეურნეო და სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელს რატომღაც არ სურს.

შარშან „საქმთავარენერგომ" შეამოწმა სამოცდაათი ქალაქისა და რაიონის ზამთრისათვის მზადყოფნა და აღმოაჩინა 1787 განუხორციელებელი ღონისძიება. მარტო 61 დიდ საწარმოში არ იყო საამისოდ შესრულებული 1112 დასახელების სამუშაო. ლაპარაკია მხოლოდ რამდენიმე ქალაქსა და საწარმოზე. აბა წარმოვიდგინოთ რამდენად გაიზრდებოდა ეს ციფრები ყველა რაიონისა და სამრეწველო ობიექტის შემოწმების საშუალება რომ ყოფილიყო.

შარშან შემოწმდა, მაგალითად თბილისის საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკა „ივერია", თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა, ჭიათურის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანა, „ისანის" საწარმოო გაერთიანება, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანა და სხვა. შემოწმებამ ცხადყო, რომ ბევრ მათგანში არ იყო გამოცემული ზამთრის მზადებისათვის აუცილებელი ბრძანება, არც ენერგორესურსების მომჭირნე ხარჯვისათვის გამიზნული კომისია იყო შექმნილი. აღმოჩნდა ენერგიის არარაციონალური გამოყენების, დანადგართა უქმი სვლისა და უყაირათობასთან დაკავშირებული სხვა ფაქტები.

ათასამდე რეიდი მოაწყო შარშან ენერგოზედამხედველობამ და გამოამჟღავნა ენერგიის განიავების, „პიკის" საათებში მისი სრულიად უმიზნო ხარჯვის უამრავი ფაქტი.

რატომ ვხელმძღვანელობთ შარშანდელი ფაქტებით? იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ამის შეხსენება არ აწყენთ სამრეწველო საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს. მეორეც შარშანდელი გაკვეთილებიდან ბევრმა მათგანმა კვლავ ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნა. მათ შორის არიან იგივე თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანა, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანა, „ისანის" ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება. სულ ახლახან განხორციელებულმა შემოწმებამ გამოავლინა, რომ არც ახლა გამოუციათ მათ ხელმძღვანელებს ზამთრისათვის მზადების შესაბამისი ბრძანება, არ აღირიცხება ენერგიის ხარჯვის მდგომარეობა საამქროებში, არ გააჩნიათ ენერგიის დანახარჯების აღმრიცხველი ხელსაწყოები, არ შეუმუშავებიათ შედარებით იოლად გამოზამთრებისათვის საჭირო ღონისძიებანი, კვლავ არარაციონალურად იხარჯება ენერგია და ა. შ.

დროა ყველამ გავიგოთ, რომ ზამთრისათვის მზადყოფნა უმკაცრეს მომჭირნეობას ნიშნავს. წავიდა ის დრო, როცა განუსაზღვრელად, უდარდელად ვიყენებდით ყველა სახეობის მატერიალურ რესურსებს და, კერძოდ, ელექტროენერგიას. არც ერთმა საწარმომ არ უნდა მიიღოს გათვალისწინებულზე მეტი ენერგია.

სამი წლის მანძილზე, აღინიშნა სკკპ XIX კონფერენციაზე, ჩვენ შევძელით მნიშვნელოვნად მეტი გაგვეკეთებინა, ვიდრე გავაკეთეთ გარდაქმნის მთავარი მიმართულებით, უწინარესად ჩვენი ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდის, მისი საბოლოო შედეგების გაუმჯობესების მიმართულებით. ხომ ფაქტია, რომ დღესაც ქვეყანა ეროვნული შემოსავლის ერთეულზე გაანგარიშებით კვლავ მეტისმეტად ბევრ სათბობს, ელექტროენერგიას და ლითონს ხარჯავს. აქედან მომდინარეობს რესურსების დეფიციტი მათი წარმოების დიდი მოცულობის პირობებში, რაც გვაიძულებს სულ ახალ-ახალი სახსრები გამოვყოთ სანედლეულო და სათბობ-ენერგეტიკული ბაზის ზრდისათვის. სწორედ ამ მანკიერი წრიდან თავის დასაღწევად დაიწყო ქვეყნისა და, მათ შორის, ჩვენი რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის მოდერნიზაცია.

ელექტროენერგიის რაციონალურ ხარჯვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. მოთხოვნებს საკუთარი წარმოების ენერგეტიკული რესურსებით რესპუბლიკა მხოლოდ 15 პროცენტით იკმაყოფილებს. ამიტომ, რესურსების დიდი ნაწილი ქვეყნის სხვა რეგიონებიდან შემოდის, რაც უზარმაზარ სატრანსპორტო ხარჯებს უკავშირდება. მიუხედავად საქმის ასეთი ვითარებისა, ჩვენთან, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით მეტი ენერგია ნიავდება. არადა, მიმდინარე ხუთწლედის გასულ პერიოდში, წინა წლებთან შედარებით, რესპუბლიკაში ენერგიის უყაირათო ხარჯვისათვის მრავალი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიება განხორციელდა და ასობით მილიონი კილოვატსაათი ენერგიაც დაიზოგა. ეს მართალია, მაგრამ სწორია ისიც, რომ გაცილებით მეტს ვკარგავთ ვიდრე ვზოგავთ. საქმე ის არის, რომ მარტო საერთო სარგებლობის ქსელში იკარგება იმდენი ენერგია, რამდენსაც წელიწადში ენგურჰესი იმუშავებს. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა დიდი საწარმო ახლა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მუშაობს, მრავალი ცალკეული დასახელების პროდუქციის დამზადებაზე კვლავინდებურად დიდძალი ელექტროენერგია იხარჯება. საკვირველია, რომ ჩვენთან ამ მიმართულებით, პრაქტიკულად, გარდა ზაფხულის ყველაზე ცხელი პერიოდისა დეფიციტურია წლის ყველა თვე.

ენერგობაზების საერთო ნაკლებობასთან ერთად მდგომარეობას ართულებს ენერგიის გამოყენებისადმი უპასუხისმგებლო, უსულგულო დამოკიდებულება. არსებობს ელექტროენერგიის უყაირათო ხარჯვის უამრავი გზა, მაგრამ მრავალი ორგანიზაცია და მოსახლეობის დიდი ნაწილი არ იჩენს მომჭირნეობას, არ უდგება ამ საქმეს მთელი სერიოზულობით. ბევრ ხელმძღვანელს რატომღაც ავიწყდება, რომ ენერგიის მომჭირნეობასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება წარმოების რეზერვების გამოვლენის ერთ-ერთი გეგმაზომიერი და მიზანდასახული ფორმაა.

თბო და ელექტროენერგიის რესურსების ეკონომიურ ხარჯვასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტაში, ენერგოსამსახურის გარდა, უნდა ჩაებან საწარმოთა საამქროებისა და უბნების ხელმძღვანელები, ტექნოლოგები, მექანიკოსები, ეკონომისტები, საერთოდ ყველა ვისაც სურს ახალი სამეურნეო მექანიზმის პირობებში შედარებით უკეთეს საბოლოო შედეგს მიაღწიოს.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ვერ მივაღწევთ სასურველ შედეგს, ვიდრე არ დავამკვიდრებთ ერთეული პროდუქციის გამოშვებაზე მეცნიერულად დასაბუთებულ სათბობისა და ენერგიის დანახარჯების ნორმებს. ნორმირებული უნდა იყოს დანახარჯები ძირითადი და დამხმარე საწარმოო პროცესებისათვის.

შემოდგომა-ზამთრის დაძაბული პერიოდის წარმატებით დამთავრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგომომცველი დანადგარების დროულ შეკეთებს, ვისაც ჯერ ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებია, ან ცოტა გააკეთა, დროულად მიხედოს საქმეს. ძალების მაქსიმალური დაძაბვით ჯერ კიდევ შეიძლება მისი მოგვარება.

შარშან ენერგიის უყაირათო ხარჯვისათვის საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების 119 ხელმძღვანელი 2840 მანეთით დაჯარიმდა, ხოლო 88 — გააფრთხილეს. როგორც ჩანს, საქმთავარენერგოს ზედამხედველობამ უნდა გაამკაცროს მოთხოვნები, ცხოვრებამ ცხადყო, რომ გაფრთხილებები საქმეს ვერ შველის. არც იმით მსუბუქდება მდგომარეობა, რომ ახალციხის ხორცკომბინატის დირექტორი, მაგალითად, უყაირათობისათვის 50 მანეთით, ხოლო ფოთის „კოლხეთის" მეთევზეობის კოლმეურნეობის მაცივრის უფროსი 20 მანეთით დაჯარიმეს.

საერთოდ, ენერგიის მფლანგველობისათვის ჯარიმის სახით ამოღებული თანხა მთლიან დანაკარგებთან შედარებით წვეთია ზღვაში, საჭიროა უფრო ქმედითი ღონისძიებების განხორციელება. აუცილებელია რათა „საქმთავარენერგოს" ზედამხედველობამ რაც შეიძლება მეტი სამეურნეო ობიექტი და ორგანიზაცია შეამოწმოს და ამხილოს ყველა, ვინც არ მომზადებულა და ან ხუსტად ემზადება ზამთრისათვის. ამ მხრივ დროის დაკარგვა დიდი დანაშაული იქნება.

„საქმთავარენერგოს" სამმართველოს კოლექტივმა ზამთრისათვის მზადება კარგა ხანია დაიწყო, და არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეს ნაყოფს გამოიღებს. შემუშავებულია ღონისძიებების პროგრამა, რომლის განხორციელება მუდმივ კონტროლზეა აყვანილი. ენერგოსისტემა დღეისათვის მთლიანად არის უზრუნველყოფილი სათბობის ფონდებით, აგვისტოს დამდეგისათვის მაზუთის მარაგმა 244 ათასი ტონა შეადგინა, რაც 14 ათასი ტონით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. სათბობის ხარჯვისადმი დაწესებულია მკაცრი კონტროლი. ყურადღების ცენტრშია წყალსაცავებში წყლის დაგროვებასთან დაკავშირებული საკითხი. ამოქმედდა ადრე მწყობრიდან გამოსული ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი". მიმდინარეობს სამუშაოები ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის № 2 ბლოკის გაზსა და მაზუთზე გადასაყვანად. კაპიტალურად შეკეთდა ყველა გეგმით გათვალისწინებული საქვაბე აგრეგატი და ტურბოაგრეგატი, 858 კილომეტრი სიგრძის თბოქსელი. შედგენილია ენერგიის მოთხოვნების შეზღუდვისა, და საჭიროების შემთხვევაში, გამორთვის კრებსითი გრაფიკი. შემუშავებულია სხვა იმ ღონისძიებათა გეგმა, რომელმაც შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ენერგიის რაციონალურ ხარჯვას. სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო ყოვნდება იმ ახალი ელექტროგადამცემი ხაზის საექსპლოატაციოდ გადაცემა, რომლითაც აზერბაიჯანიდან უნდა მივიღოთ ენერგია.

სამრეწველო საწარმოების, საერთოდ, სახალხო მეურნეობის ყველა ობიექტების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უთუოდ უნდა გაითვალისწინონ თავიანთ მუშაობაში „საქმთავარენერგოს" ენერგოზედამხედველობის მითითებები, რეკომენდაციები და ყველაფერი იღონონ საქმის დროული მოგვარებისათვის.

ბოლო წლების სიცივეებმა და დიდთოვლობამ დღის წესრიგში დააყენა ენერგორესურსების უმკაცრესი ეკონომია. მომჭირნეობაში უნდა დაგვეხმაროს ორგანიზატორული ღონისძიებების განხორციელება, პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, საწარმოო პროცესების სრულყოფა.

კომუნალური მეურნეობისა და სხვა ორგანიზაციების ზამთრისათვის მზადყოფნის თაობაზე ცალკე მოვაწვდით მკითხველს მასალებს.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის" მიმომხილველი.

ანგარიშგება-არჩევნები გარდაქმნის სახეა

(დასასრული)

— წლევანდელი ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის განმასხვავებელი ნიშანია საარჩევნო პროცესის ფართო დემოკრატიზაცია. როგორ განხორციელდება იგი სინამდვილეში?

— პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წინათ ჩვენი საზოგადოების ძვალ-რბილში გამჯდარი ბევრი ნეგატიური მოვლენის მიზეზის სათავე იყო შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური ნორმების დარღვევა. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ კრებებზე შეიქმნას ძალდაუტანებლობის შემოქმედებითი დისკუსიების, აზრთა თავისუფალი გამოთქმის, გაბედული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარება. საამისოდ დღეს გვაქვს ყველა ობიექტური პირობა. ვხელმძღვანელობთ რა XIX პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებით, ჩვენ ყველგან უზრუნველვყოფთ კანდიდატურების ფართო, წინასწარ განხილვას. კომიტეტის წევრებისა და მდივნების არჩევნების დროს ფარული კენჭისყრით, მოცემულია შესაძლებლობა შეიტანონ ბიულეტენში უფრო მეტი კანდიდატი, ვიდრე მანდატია.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ...

— სიტყვამ მოიტანა და, არსებობს თუ არა რაიმე რეკომენდაციები არჩევითი ორგანოების შემადგენლობის შესახებ?

— კომუნისტებს მინიჭებული აქვთ სრული უფლება გადაწყვიტონ ყველა საკითხი, რომლებიც უკავშირდება არჩევითი ორგანოების შემადგენლობას — როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი თვალსაზრისით. მართლაც რომ, უნდა მივესალმოთ იმ პარტიულ ორგანიზაციებს, სადაც არ ავიწყდებათ ჩვენი კარგი ტრადიცია — ასახელებენ ღირსეულ მუშებსა და გლეხებს, ითვალისწინებენ რესპუბლიკური პარტორგანიზაციის მთელ ეროვნულ მრავალფეროვნებას. ჩემი მხრივ, შეგახსენებთ, რომ დღეს ზემდგომი პარტიული კომიტეტები არამც და არამც არ ახდენენ არავითარ გავლენას იმ პირთა არჩევნებზე, რომლებიც ტრადიციულად შედიან ეგრეთ წოდებულ ნომენკლატურულ მუშაკთა წრეში. პარტიის კადრების კორპუსი ამიერიდან განისაზღვრება არა რაღაც „სიობრივი შემადგენლობის" კუთვნილებით, არამედ კომუნისტთა თავისუფალი, შეუზღუდავი ნების გამოხატვით.

[illegible]

ბალახის ფქვილი: დამზადების ტემპი

ბალახის ფქვილის წარმოება და დამზადება საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსისათვის შებრკოლების ლოდი გახდა. გამონაკლისი არ ყოფილა არც წლევანდელი სეზონი: პროტეინით მდიდარი საკვების დაგროვება დიდი ჩამორჩენით და უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე ერთი წლის წინათ. მრავალწლოვანი ბალახების მოსავალი მცირეა, მათ მხოლოდ ერთი-ორჯერ თიბავენ. ამიტომ მრავალი მეურნეობა წლითიწლობით ვერ ასრულებს რესპუბლიკის პურპროდუქტების სამინისტროს კომბინირებული ქარხნებისათვის ამ სახეობის ნედლეულის მიწოდებათა გეგმებს. ამის შედეგად საწარმოები კომბინირებულ საკვებში პროტეინისა და ვიტამინების დეფიციტს ფარავენ რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოტანილი ხორც-ძვლის და თევზის ფქვილის, სოიის ჩენჩოს და სხვა ძვირადღირებული დანამატების ხარჯზე.

ქვემოთ მოყვანილია რესპუბლიკის პურპროდუქტების სამინისტროს მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ ბალახის ფქვილის მიწოდებათა წლიურ გეგმებს რაიონები, რომლებიც ამ ნედლეულის უდიდესი მწარმოებლები არიან საქართველოში (მიმდინარე წლის 16 აგვისტოს მდგომარეობით):

	1988 წლის გეგმა, ტონობით	შესრულება, ტონობით	შესრულება, პროცენტობით	მათ შორის დამზადებულია I და II კლასისა, ტონობით
მარნეულის	15.440	6.260	40,5	621
წითელწყაროს	3.700	1.951	52,7	—
სიღნაღის	1.870	703	37,5	—
გარდაბნის	1.200	601	50	218
ლაგოდეხის	1.100	432	39,2	—
აბაშის	950	29	3	6
საგარეჯოს	830	281	33,8	—

მთლიანად რესპუბლიკაში გეგმით გათვალისწინებული 32.500 ტონის ნაცვლად საზოგადოებრივმა მეურნეობებმა დაამზადეს 12.127 ტონა ბალახის ფქვილი — ნაკლები, ვიდრე შარშან შესაბამისი პერიოდისათვის. ნედლეულის ხარისხი კვლავინდებურად მდარეა.

(საქინფორმი)

მარნეულში ფართოდ არის გაშლილი პირუტყვისათვის საკვების მოპოვებისა და დაბინავების სამუშაოები. ყველა ღონით ცდილობენ, რომ ფერმები უზრუნველყონ ყუათიანი საკვებით, რაც პირუტყვის ნორმალური გამოზამთრების საწინდარია.

აქ აილეს და დააბინავეს 9841 ტონა თივა, რაც 1184 ტონით აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდს. შარშანდელთან შედარებით მეტი აქვთ დამზადებული აგრეთვე სილოსი და სხვა საკვები.

ეს ფოტო გადაღებულია მარნეულის რაიონის ლეჟბადინის მეცხოველეობა-მერძევეობის კომპლექსში.

სურათზე: მარნეულის აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი აგრონომი ვ. ბარიშვილი, ზოოტექნიკოსი ნ. მიქაბერიძე და მეცხოველეობა-მერძევეობის კომპლექსის უფროსი ჭ. ისკადაროვი.

თ. ნიკოლაიშვილის („კომუნისტი") ფოტო.

ვინ არის ბოლო? მე, შენ, ის... ყველანი ერთად

[illegible]

ვინ არის ბოლო? საბჭოთა კავშირის რომელ კუთხეში არ გაიგონებთ ამ კითხვას. მერედა, პასუხი? დღეს მე, ხვალ შენ, ზეგ ის... ჩვენ, ყველანი ერთად და ცალ-ცალკე...

[illegible]

ვლადიმერ ჟანუყვაძე,
პროფესორი.



ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა გიორგი გიგაურის ლექსების კრებული „კენჭები კამკამა მორევში“. აქ ლექსებთან ერთად დაბეჭდილია ბალადები და პოემებიც. წიგნის გამოსვლა პოეტის 60 წლისთავს დაემთხვა. 15 წიგნის ავტორი მაინც სხვა გრძნობით იღებს ხელში ლამაზად გამოცემულ პოეტურ კრებულს, რომელიც განვლილი გზის ერთგვარი შეჯამებაც არის.
გთავაზობთ გ. გიგაურის ლექსებს ახალი ციკლიდან „ივრის ხეობის ქრონიკები“.

გიორგი გიგაური

საბადურზე

შენს სავანეში მთალალო,
ვერ გამიმკლავდეს ვერავინ,
განზე მეხვევა ნისლები
ნაბადად გასათელავი.

აქედან ვეშურწულები
გომბალალას თუ იალნოს,
მთებო, მომეცით შეძლება
თქვენს ბილიკებზე ვიარო.

თქვენი სიწმინდე ვილოცო,
ვიმღერო თქვენნი ქებანი,
ჩემთვის არც ერთი არა ხართ
მუნჯი და გაუგებარი.

არა გჩვევიათ ღალატი,
მკერდით მოკვეთა უძლურთა,
სიცოცხლის ცივნი წყარონი,
მეც ვხვრიპე თქვენი ქუძუდან...

შენს სიყვარულში, მთალალო,
ვერ შემეცილოს ვერავინ,
მუხლებზე ქუჩი მეხვევა
ნაბადად გასათელავი.

იორი

რამ გააბრაზა იორი,
გამაგებინა ნეტავი,
საითკენ მიეჩქარება
მთებიდან ვერცხლის მხვეტავი.

ამაგიანი მდინარე
ამდენს რას მესაუბრება,
მე ხომ ვერ შევხსნი არტახებს,
არა მაქვს ამის უფლება...

გულით გთხოვ, ჩემო იორო,
აქ დაერჩეთ ბაზლის კალთებთან,
გახსოვს? ღამეებ ღიღინით
ცაც ამ მოლზე ათევდა.

გვიმასპინძლებენ ირმები,
ჩვენთვის ძალიან კარგები,
იცოდე, მთებს თუ დავტოვებთ,
უკვალოდ დავიკარგებით.

წლები

წლებს სიმღერები ვაჩუქე,
წლებმა მაჩუქეს სიბერე,
ამიბალახეს ბილიკი,
ვარდნარი გადამიბელეს.

გამკიდეს ხევდის სიმებზე,
ცოდო და მადლი ამკიდეს,
ვაიმე, ჩემო მაისო,
როგორ უეცრად გამყიდე.

დაგოგმანობენ მტრედები,
ყელყელაობენ შუნები,
ხამასლაათოდ მწუხობენ,
რა მქონდა დასაწუნები...

ლექსო, შენ უნდა მიშველო,
ძმად გაფიცული იორთან,
თორემ მაჯობა სიბერემ,
სიკვდილი გამიიოლდა.

წლებს სილამაზე ვაჩუქე,
იმათ სიბერე ამკიდეს,
სისო, ჩემო მაისო,
როგორ უბრალოდ გამყიდე.

გიორგი ლეონიძე ხანირში

მთას მოემატა სიმაღლე,
როცა გათენდა ხანირთან,
წამოჭრილი ბალნარი
პირიმზესავით გაბრწყინდა.

იმშუშნებოდნენ ფიჭვები,
ბარტყებს ტუქსავდა ნიბლია,
ყველა თავდახრით ხვდებოდა,
სტუმარს ტკბილსა და იღბლიანს.

მობიჯებდა მგოსანი,
მოჰყვებოდნენ ფიქრნი მწარენი:
„როგორ არიან ნეტარა
წუხანდელ ნაყაწარენი...“

ლაღობდნენ ქუსნის ველები,
ქუხდნენ ტალღები იორისა,
ისმოდა გოგლას ბუხუნი,
როგორც ყვირილი ირმისა.

მზეს ულიმოდა მეკაცი,
სიკეთით სავსე ყელამდის,
კორტოხზე იდგა ძეგლივით,
ლექსის ხმა,
ლექსის ზელადი.

სწვდებოდა მზერა ვეფხვისა
ქართულ სანახებს ერთიან,
იტყოდა მისი მნახველი:
— კაცი კი არა, ღმერთია...

იმ დილას ბერი ხანირი
მზითა და ლექსით გაბრწყინდა, —
ჩემთვის ნანატრი ედემი,
ჩემთვის ნამდვილი მთაწმინდა.

ძალზე საინტერესო და სასურველი საქმე წამოიწყო გაზეთმა „კომუნისტმა“ 26 ივლისს, მუხრან მაჭავარიანის წერილით: თბილისში დავით აღმაშენებლის ძეგლი უნდა დაიდგას! საამისოდ ქვეყნდება წერილები ცნობილ მოაზროვნეთა, ერთა და ბერთა. არის მრავალჯერ თქმულთა ხელახლად „გარდაქმნა“, დავით აღმაშენებლის დაუფასებელ ღირსებათა კვლავ შეფასება, მისი სწორუპოვარი მამულიშვილობის ხელახალი დასაბუთება. არის სრულიად ახალიც, ნარუქად ნათქვამი პოეტური სიტყვაც, თუნდაც ეგზომ ამაღლებული, ზეგარდმო ინსპირაციით: „დავით აღმაშენებლის ხმალზეა დამყნილი კალამი შოთასი! დავითმა შექმნა ის განიერი სახელმწიფო, სადაც ტანი მოიქნია რუსთაველის ვეფხვმა“... (მუხრანი) და სხვ.

ამ უკანასკნელ ხანს ჩვენში დავით აღმაშენებლისადმი პატივისცემის ეგზომ ფართო საზოგადოებრივი, მასობრივი გამოვლინება ცხადად მეტყველებს ერთიანი ეროვნული თვითშეგნებისა და თვითდამკვიდრების მაღალ დონეზე.

ყოველი ხალხი, ყოველ დროში, თავისი საამწყოო და სამომავლო ცხოვრების საწინამძღოლოდ ეძიებს გმირს, სანიშანსვეტო ადამიანს — „ღმერთთან წილნაყარს“, „მესიას“, „მოძღვარს“, „ბელადს“, „ლიდერს“, „ჰეგემონს“. და, სხვათა შორის, ეს არის ყბადაღებული „კულტის“ ძიება მით უფრო ჩვენში, საქართველოში. დიახ, იქნებ პარადოქსიც იყოს, მაგრამ სწორედ საქართველოში, — ამ „კულტების საექსპორტო ქვეყანაში“ — თავისთვის, საკუთრად, პიროვნების კულტი არასოდეს არ შეუქმნიათ, მიუხედავად იმისა, რომ „საკულტო მასალა“, დიდი ჰეროიკული და კულტურული ისტორიის წიაღში, ჭარბად მოეპოვებოდათ. მეოცე საუკუნემდე (ილიას მკვლელობამდე) არც ძეგლებს უდგამდნენ ქართველები ვისმეს თავის თესლთაგანს. ამავე საუკუნის 20-30-იანი წლებიდან კი, მოგეცათ ლხენა, — საქართველოში რომ კულტომანია, ძეგლომანია და ხატომანია გააჩაღეს! თანაც— საკუთარი კულტომანია!!! პატივმოყვარეობის ისტორიაში ამ უპრეცენდენტო ხამოკრატებმა მთელი საქართველო საკუთარი ძეგლებით გაავსეს, ისტორიულ წმინდანთა ნაცვლად, საკუთარი ხატები გამოფინეს, ქართულ ქალაქებს, დაბებს, სოფლებს, ქუჩებს ისტორიული სახელები წაართვეს და საკუთარი მიაწერეს. სკოლებშიც, წინაპართა „ნაციონალისტური“ თავგადასავლის ნაცვლად, მოზარდ თაობებს საკუთარი „ინტერნაციონალისტური“ ბიოგრაფიები შეაჩეჩეს.

დადგა ხანა მშობლიური ისტორიის ამნეზიისა.

დავითი, — ღვთით ანაბეჭდი სული, რომელმაც შექმნა სახიერ**ხლელთა იმპერიაში**“ ათეულობით ენა ჰყაოდა, ათეულობით რელიგია, სექტა და ერესი მიმოიქცეოდა, და ვაი იმ ქართველს, ვინც ამ მრავალფეროვანი ეროვნულ-ენობრივ-სარწმუნოებრივი სიმფონიის დარღვევას შეეცდებოდა!

მაგრამ სახელმწიფო ესე — მაინც იყო საქართველო, და ვაი იმასაც, ვინც საქართველოს შიგნით და გარეთ ქართველობის სამტროდ ხმალსა თუ ხმას დასძრავდა.

„დედამიწის შუბლელთა“ სახელმწიფოში იმდენი ენა ჰყაოდა, რამდენიც ტომ-თესლი ცხოვრობდა, მაგრამ საერთო სახელმწიფოებრივი ენა, ნიკოფსიითგან დარუბანდამდის“ — იყო ქართული ენა.

დავითი და შუბლი დედამიწისა

ება ერისა შენისა, აღგიდგინა და დაგიმკვიდრა ქვეყანა და სამშობლო შენი, მოგართვა და მოგიბუდნიერა სული შენი და სხეული შენი;

დავითი, — მთელი მისი წუთისოფელი ცალუღელა ხარივით რომ აპეურისაგან გამოუხსნელად ეწეოდა ეროვნულ უღელს;

დავითი, — დღემდე სრულად შეუცნობელი პოლიტიკოსი, სტრატეგოსი, პიიტიკოსი;

მისი „გალობანი სინანულისანი“, — დღემდე სრულად გაუცნობიერებელი, ზეგარდმო გენიალობით დასვინტაქსებული ხელოვნება და ფილოსოფია...

დავითმა პირველმა შექმნა კავკასიის ამერ-იმერ ხალხთა ერთიანი სახელმწიფო, „ნიკოფსიითგან დარუბანდამდის და ოვსეთიდგან — არეგაწამდის“.

კავკასიონი კი შუბლია დედამიწისა, და შვენოდა დედამიწას გამთლიანება „მისი შუბლისა“.

ოცი წლის მანძილზე, სამოცამდე დიდი და მცირე ბრძოლის გადახდით, დავითმა იხსნა საქართველოც და სრულიად კავკასიაც ველური გათურქება-გადაგვარებისაგან.

მის კავკასიურ „**დედამიწის შუ**ქართული ენა საქართველოში უნდა სცოდნოდა ყველას, ქართველსაც და არაქართველსაც. ეს პატივიც იყო, საჭიროებაც, სინდისი და მოვალეობაც.

დავითის დროს (და მის შემდგომ ასორმოცდაათი წლის მანძილზე) სრულიად კავკასიისთვის (და მნიშვნელოვანწილად წინააზიისათვის) ქართული ენა ისეთივე დომინანტურ და კულტურულ ნიშანსვეტად იქცა, როგორც ბერძნულელინური ენა ალექსანდრე მაკედონელის დროინდელ ევრაზიაში („ქართლიზმი“ — „ელინიზმი“).

დავითის პიროვნება და მისი საქმენი მხოლოდ ქართულ და კავკასიურ ლოკალში არ თავსდება. ეს ფენომენი მაშინდელი მსოფლიოს პოლიტიკური და კულტურული პარამეტრებით განისაზღვრებოდა. ევროპელებს მათ „აზიურ პოლიტიკაში“ ქართველობა საიმედო საყრდენად ეგულებოდათ, რაკილა ეს უცნაური აზიელები თავისი ქრისტიანობით ჭეშმარიტად „ევროპელობდნენ“! დიდ „ჯვაროსნულ ომებში“ ანუ „ქრისტეს საფლავისათვის“ ატეხილ მსოფლიო პოლიტიკურ, დიპლომატიურ და სამხედრო „მი-და-მო-ქცევებში“, დავით აღმაშენებლის და მის შემდგომ მისი მემკვიდრეობის საქართველო — ეს „აზიური ევროპა“ — ევროპისათვის თვით ბიზანტიაზე უფრო საიმედო ფორპოსტად ქცეულიყო...

ყოველთვის ასეა: დავით აღმაშენებელზე ფიქრმა და წერამ („და წერამ“) თუ აგიტანა, ძნელი ხდება მისგან თავის დაღწევა. მისი შინაპოლიტიკური, სოციალური, კულტურული, სარწმუნოებრივი და ზნეობრივი რეფორმები, მისი მხედრული გმირობანი, მარტო მისი დიდგორის ომი — ჭეშმარიტი **ილიადა საქართველოსი** — ყოველივეს ჩამოთვლაც კი რამდენ დროსა და საწერანს ითხოვს!... ამიტომ ახლავე შევეცადოთ, ისევ დღეისთვის დასმულ საკითხს შემოვუბრუნდეთ:

თბილისში დავით აღმაშენებლის ძეგლი უნდა დაიდგასო.

დიახაც, უნდა დაიდგას, მაგრამ... განა მარტო თბილისში?!

ვთქვათ, ქუთაისში?!

აკი დავითის „თბილისელობა“ მისი „ქუთათურობით“ დაიწყო, — იქ დაიბადა, იქ გაიზარდა, იქ დაიდგა გვირგვინი და შეირტყა მახვილი საქართველოს სვემაღალი ხელმწიფობისა; იქვე ამწიფებდა თბილისის დახსნისა და საქართველოს დედაქალაქად აღდგენის დაუცხრომელ ფიქრსა და ზრახვას.

მისი 52 წლოვანი წუთისოფლისაგან, მხოლოდ ორი წელიწადი ერგო „თბილისელობად“ საქართველოს წმინდა სატახტოს მხსნელსა და ამაღორძინებელს.

მერე, გელათი? იქვე, „ქუთათისის ქვეყანასა ზედა“! დავით მეფის საკუთრივ „აღმაშენებლობის“ უთვალსაჩინოესი პირმშო — ერთდროულად, კონკრეტულ-სხეულებრივიც და ზოგად-სიმბოლურიც; ერთდროულად — „ქართული იერუსალემიც“ და „ქართული ათინაც“ (მემატიანის სიტყვებით: „...ყოვლისა აღმოსავლისა მეორე იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხვად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“).

მისანიშნებელია ისიც, რომ საკუთრად თავისთვის და სამომავლოდ სრულიად საქართველოს მეფეთათვის, დავითმა საფლავად და ძვალთშესალაგად სწორედ გელათი დაიანდერძა.

მაშ, თბილისთან ერთად, დავით აღმაშენებლის ძეგლმა უნდა დაამშვენოს ქუთაის-გელათის „ქვეყანაც“.

მაგრამ, განა მარტო თბილისი და ქუთაისი?!

დავით აღმაშენებლის ძეგლი უნდა დაიდგას საქართველოს ყოველ კუთხეში.

ვითომ, ძალიან ბევრს ვითხოვთ?..

იქნებ, უფრო წინაც წავიდეთ და დავითის შემდგომ სხვა წინაპართა ძეგლებზეც ვიფიქროთ და ვიზრუნოთ.

ჯერ ეს ვიაზროთ: პიროვნულ ღვაწლთა მიხედვით, დავით აღმაშენებელი საქართველოს **პერსონიფიცირებული ისტორიის** მწვერვალზე დგას. აქედან გამომდინარე კი, რასაკვირველია პირობითად, ჩვენი ისტორიაც გავყოთ ორად: დავითის წინარე და დავითის შემდგომი „ისტორიანი“ და, ერთბაშად, დავითის „გადაღმა“, და „გადმოღმა“, სულ ცოტა, ასამდე რჩეული მამულიშვილი, ერისთვის თავდადებული და წამებით შეწირული გმირი მაინც ამოიმართება, დღეისთვის ძეგლის აგებას რომ სთხოვს ჩვენს სინდისს (აღარ ვანგარიშობთ ასეულობით და ათასეულობით — დიდგორელებს, მარაბდელებს, კრწანისელებს, არაგველებს, ხრესილელებს, სხვათა და სხვათა, სახელდებით უცნობად გმირთა).

ვთქვათ, „დავითს გადაღმა“ მთელი 1400 წელზე მეტი მანძილით, ფარნავაზი ამომართულა — „ყოველი საქართველოს“ პირველი გამაერთიანებელი და, რაც ყველაზე საგულისხმოა—„მწიგნობრობა ქართულის“ საფუძვლის ჩამყრელი. და მცხეთაში უნდა იდგას ფარნავაზ მწიგნობრის ძეგლი, როგორც საქართველოს ერთიანი სულის უძველესი სიმბოლო!

მერე, ვთქვათ, ვახტანგ გორგასალს ერთი ძეგლი ძლივს ვუძღვენით, დიდის ჭაპანწყვეტით. ხოლო, აქეთ, „დავით გადმოღმა“ — აქამდე კრინტის დაძვრისა გვეშინია დიდი თამარის, გიორგი ბრწყინვალის, ქეთევან წამებულის, ძმათა ხერხეულიძეთა, და სხვათა და სხვათა მრავალთა ძეგლებისათვის.

მაშ, დღემდე ძეგლი ვერ დავგიდგამს 2500 წლის მაღალეროვნული წინაპრობისთვის. სამაგიეროდ, ბოლო 50 წლის მანძილზე საქართველო გაიტენა და დამძიმდა **ერთხაზოვანი** „მოღვაწეების“ **ერთსახოვანი** კერპებით. თუმცა, მათ სახელზე აღარავინ ლოცულობს, მაგრამ მაინც დგანან (და „ელიან“), ჩვენი დიადი, ჭეშმარიტი მამულიშვილობის კავალერთა ადგილზე დგანან.

და ჩვენ, იქნებ, იმას მაინც მივაღწიოთ, რომ ამ უსულგულო, „უეროვნებო“ ბომონებს წმინდათაწმინდა ისტორიული პერსონაჟებიც შემოვუყაროთ.

სულ ერთია, —მშობელი მიწა მაინც ერთნაირი დიდსულოვნებით ითმენს და ითავსებს ნაღდ შვილებსაც და უძღებ შვილებსაც...

ლევან სანიკიძე.

დიდი წინაპრის უკვდავსაყოფად

ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი გაახარა ცნობამ იმის შესახებ, რომ განზრახულია მომავალ წელს ფართოდ აღინიშნოს დავით აღმაშენებლის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის 900 წლისთავი. კიდევ უფრო სასიხარულო იქნება, თუ ჩვენს დედაქალაქში დაიდგმება მისი ძეგლი.

დავით აღმაშენებელი თითოეული ჩვენთაგანის, ყველა ქართველის სიამაყეა, ჩვენი სულის ნათელია, ჩვენი უკვდავი, მარად ცოცხალი ისტორიაა და მისი ძეგლი უნდა იდგას არა მარტო თბილისში და დიდგორში, გელათშიც და კიდევ ბევრგან საქართველოში, მაგრამ თბილისში დავითის ძეგლი რომ არ იდგა დღემდე, ეს მართლაც მიუტევებელია.

ძეგლი კაცისა, რომელმაც ხანგრძლივი მტრული გარემოცვისაგან იხსნა თბილისი და დაგვიმკვიდრა „შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“, უნდა ამშვენებდეს მის ყველაზე საუკეთესო ადგილს.

გ. ხიჯაკაძე,
ქსენოფონის საექსკურსიოსამოგზაურო ბიუროს დირექტორი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

სააპატიო წოდებას

[illegible]

ცოტაც და... დარეკავს პირველი სექტემბრის ზარი, რომელიც მერხებისკენ მოუხმობს ათასობით ყმაწვილს, ეს დღე ალბათ ყველაზე ამაღლვებული და დასამახსოვრებელია მათთვის, ვინც პირველად შეაღებს სკოლის კარებს — ამ 6-7 წლის ყმაწვილებს სულ სხვაგვარი დახვედრა უნდათ, მათთვის ეს დღე ხომ ახალი ცხოვრების დასაწყისია. თბილისის სკოლებში ექვსწლიანთა მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსს **ქობა ხუჯაშვილს** „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ნინო ლურსმანაშვილმა ინტერვიუ სთხოვა:

[illegible]

ნი სემინარები დაწყებითი კლასების იმ პედაგოგთათვის, რომლებსაც ამონაშვილის მეთოდით მუშაობის სურვილი აქვთ. ამის შესახებ განცხადება გაზეთ „თბილისში“ გამოვაქვეყნეთ (ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ დადებითი გამოცდილება თავისთავად უნდა იკვლევდეს გზას, თორემ ჩვენ შევეიძლია დადგენილება გამო-

[illegible]

ყმაწვილები პირველ კლასში მიდიან...

[illegible]

ქსნიოთიში
საქდესი იუწყება
20 აგვისტო

● ირან-ერაყი

შეთანხმება ძალაში შევიდა

ნიუ-იორკი. 20 აგვისტოს, დილის 7 საათზე ადგილობრივი დროით ძალაში შევიდა შეთანხმება ირან-ერაყის ფრონტზე ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. წინადღით დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა (24 ქვეყნის წარმომადგენლების) განლაგება ფრონტის 1200-კილომეტრიან ხაზზე. მთლიანად შეწყდა საბრძოლო მოქმედება ორ ქვეყანას შორის ხმელეთზე, ჰაერსა და ზღვაში. აქ მიღებული ცნობებით, ფრონტის მთელ ხაზზე მშვიდი ვითარებაა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარის მიერ გამოცხადებული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე უშიშროების საბჭოს 598-ე რეზოლუციის განხორციელების პროცესის შემადგენელი ნაწილია. რეზოლუცია ითვალისწინებს აგრეთვე ირანისა და ერაყის ჯარების დახევას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებამდე და ორ მეზობელ ქვეყანას შორის შეიარაღებული კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების დაწყებას. გამოცხადებულია, რომ ირან-ერაყის პირდაპირი მოლაპარაკება დაიწყება 25 აგვისტოს ჟენევაში. ორივე მხარემ განაცხადა, რომ მზად არიან მონაწილეობა მიიღონ მოლაპარაკებაში.

◆ ჩეხოსლოვაკია

პროვოკაციული გამოხდომა

პრაღა. პრაღის ცენტრში, ვაცლავის მოედანზე, დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელ მოქალაქეთა ჯგუფმა ხცადა მოეწყო პროვოკაციული თავყრილობა.

მათ გადაწყვიტეს წ. ვაცლავის ძეგლზე მოეთავსებინათ ტრანსპარანტი წამქეზებლური მოწოდებით. ამ აურზაურს ტონს აძლევდნენ იტალიის რადიკალური პარტიის წარმომადგენლები. მილიციის პატრულებმა აღკვეთეს ეს უტიფარი გამოხდომა. ამ პარტიის სხვა აქტივისტები, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ტურისტებად ჩავიდნენ, პრაღასა და სხვა ქალაქებში ავრცელებდნენ ფურცლებს, რომელთა შინაარსი ემთხვევა ცილისმწამებლურ კამპანიას, დასავლეთში რომ მოეწყო ჩეხოსლოვაკიის აგვისტოს ამბების 20 წლისთავის გამო. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ეგრეთ წოდებული ტურისტები ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან გააძევეს.

◆ ბირმა

აირჩიეს ახალი პრეზიდენტი

რანგუნი. ბირმის ახალი პრეზიდენტი გახდა მაუნგ მაუნგი. ეს გადაწყვეტილება მიიღო აქ ქვეყნის ეროვნული კრების პარლამენტის სპეციალურმა სესიამ. ბირმის სოციალისტური პროგრამის პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო პლენუმმა მაუნგ მაუნგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია. ამრიგად, 26 წლის მანძილზე პირველად ხდება, რომ მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს აქ სათავეში ჩაუდგა არა სამხედრო მოღვაწე, არამედ ქვეყანაში ცნობილი სამოქალაქო იურისტი.

მაუნგ მაუნგი 1925 წელს დაიბადა მანდალაიში, რომელიც სიდიდით ბირმის მეორე ქალაქია. მან განათლება მიიღო რანგუნის, იელის (აშშ) და უტრეხტის (ნიდერლანდი) უნივერსიტეტებში. აქვს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

● კუბა

მეხუთე ტური ბრაზავილში

ჰავანა. კუბის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა, რომ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის შესახებ ოთხმხრივი მოლაპარაკების მორიგი, მეხუთე ტური გაიმართება 24-26 აგვისტოს ბრაზავილში (კონგო).

ამ მოლაპარაკებაში, რომლის პირველი ტური ლონდონში მოეწყო მიმდინარე წლის მაისში, მონაწილეობენ კუბის, ანგოლის, სამხრეთ აფრიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების (როგორც შუამავალი) დელეგაციები. ოთხმხრივი მოლაპარაკების მიზანია გამოძებნონ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზები. წინა შეხვედრების დროს მათმა მონაწილეებმა დადეს 14 პუნქტისაგან შემდგარი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს მოთხოვნას შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 435-ე რეზოლუცია ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, რომლის განხორციელებაც უნდა დაიწყოს პირველი ნოემბრიდან.

ფესტივალი

პირველი ლაურეატი

ვარშავა. პოლონეთის საკურორტო ქალაქ სოპოტში გამართული სიმღერის 25-ე საერთაშორისო ფესტივალის პირველი ლაურეატი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი კენი ჯეიმსი.

მას მიეკუთვნა „ქარვის ბულბულის“ პრიზი პოლონური სიმღერის საუკეთესო შესრულებისათვის კონკურსში პირველი ადგილის დაკავებისათვის. ეს კონკურსი ფესტივალის მესამე დღეს გაიმართა.

ფესტივალის „პოლონეთის დღეს“ კონკურსის 24 მონაწილის გამოსვლას აფასებდა არა საერთაშორისო ჟიური, არამედ პოლონეთის საესტრადო ხელოვნების სპეციალისტები, რომლებიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის რვა მსხვილ ტელეცენტრში იმყოფებოდნენ. კენჭისყრის შედეგები ჯამდებოდა ერთიან ტაბლოზე.

მედიცინის სიახლენი

დიაგნოზს სვამს რობოტი

● **იაპონიის ვასედის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა შექმნა რობოტი, რომელიც სვამს ქალის ძუძუს კიბოს დიაგნოზს.**

[illegible]

[illegible]

სუმგაითი: პროკურატურა განაგრძობს გამოძიებას

მოხსიერებაში შავ ფურცლებად დარჩა მიმდინარე წლის თებერვლის უკანასკნელი დღეები სუმგაითში. ამ ქალაქის ტრაგედიამ მწვავედ ატკინა გული უკლებლივ ყველა საბჭოთა ადამიანს, რომლებიც მართებულად მოითხოვენ დასაჯონ უწესრიგობათა ბრალეულნი.

როგორც პრესა იუწყებოდა, სსრ კავშირის პროკურატურამ აღძრა სისხლისსამართლებრივი საქმე სუმგაითში მასობრივი უწესრიგობების გამო. უკვე გაიმართა სასამართლო პროცესები, რომლებმაც განსაზღვრეს ბრალეულობათა ზომა და ხარისხი, გამოიტანეს სამართლიანი განაჩენები. გამოძიება გრძელდება. გამოცდილ გამომძიებელთა, კრიმინალისტთა, მედიკოსთა, ფსიქოლოგთა ჯგუფი აქჯერად სუმგაითშია და გულმოდგინედ აანალიზებს იმას, რაც თებერვალში მოხდა. ამ ჯგუფს სათავეში უდგანან სსრ კავშირის პროკურატურის მთავარი საგამოძიებო სამმართველოს უფროსი ვ. ი. ნენაშევი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ვ. ს. გალკინი. ჩვენ შევხვდით სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილეს ა. ფ. კატუსევს და ვთხოვეთ მას ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

— მონაცემები, რომლებიც დღეისათვის აქვს სსრ კავშირის პროკურატურას „სუმგაითის საქმის" გამო, ამის საშუალებას მაძლევს, — თქვა პატივცემულმა ალექსანდრემ. — რა შეკითხვები გაქვთ, ბრძანეთ.

— თქვენი აზრით, რა უძღოდა წინ სუმგაითის ამბებს? ეხმიანება თუ არა ისინი მთიან ყარაბაღში მომხდარ ამბებს? და კიდევ, შეახსენეთ, თუ ეს შესაძლებელია, მკითხველებს თებერვლის დღეების ქრონიკა.

— უეჭველია, ის, რაც სუმგაითში მოხდა, უშეიდროოსად უკავშირდება მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში მომხდარ ამბებს. მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში მასობრივმა უწესრიგობამ, რომელიც 22 თებერვალს დაიწყო და პროვოკაციულად გამოიწვიეს ნაციონალისტურად განწყობილმა ელემენტებმა, დაძაბა ვითარება სუმგაითში, აზერბაიჯანის ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო ცენტრში. ახლა ჩვენ ზუსტად დავადგინეთ, რომ უწესრიგობანი ქალაქში წამოიწყეს მოხულიგნო ელემენტებმა, რომლებმაც ისარგებლეს უკიდურესად დაძაბული ვითარებით, თავაშვებული ემოციებითა და ვნებებით, სომხეთის სს რესპუბლიკაში მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის შეყვანის შესახებ მოთხოვნათა ირგვლივ სხვადასხვაგვარი მონაჭორებით. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაში ჩაბმული აღმოჩნდნენ მერყევი, უმწიფარი ადამიანები და ყმაწვილები.

27 თებერვალს ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე შეიკრიბა უამრავი ხალხი, ძირითადად ახალგაზრდობა. გაისმა მოწოდებანი, რომ თავს დასხმოდნენ სომხური ეროვნების პირებს. რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთებიც, ვინც ძალადური, ფიზიკური მოქმედების წინააღმდეგი იყო. მაგრამ აღვირახსნილ ორატორთა ნაციონალისტურმა ლოზუნგებმა თავისი ქნა — ახალგაზრდათა ჯგუფებმა ქალაქის სხვადასხვა რაიონში დაიწყეს მაღაზიების ვიტრინების მსხვრევა, სომხური ეროვნების მოქალაქეთა ცემა. მილიციის მუშაკთა მოთხოვნაზე, შეეწყვიტათ ხულიგნობა, ისინი არ რეაგირებდნენ. მეორე დღეს, 28 თებერვალს, მოვლენებმა კულმინაციას მიაღწია. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებმა განსაკუთრებით ბოროტი ხასიათი შეიძინა. აზერბაიჯანელ მოქალაქეთა ჯგუფები, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ჯოხებით, ქვებით, სხვა საგნებით, თავს დაესხნენ სომხეთა ბინებს, სჩადიოდნენ ძალმომრეობის სასტიკ აქტებს, უნადგურებდნენ ქონებას. როგორც გამოძიების დროს დადგინდა, წამქეზებელთა შორის იყვნენ არაერთგზის ნასამართლევნიც.

შედეგები ცნობილია: დაიღუპა 32 კაცი, მათ შორის 26 სომეხი. დაარბიეს 200-მდე ბინა, დაანგრიეს, ცეცხლი წაუკიდეს საყოფაცხოვრებო დანიშნულების 50-ზე მეტ ობიექტს, დააზიანეს რამდენიმე ავტობუსი და ავტომანქანა. ბრბო, რომელიც უხამსად იქცეოდა, ხელს უშლიდა ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურს, ქვას უშენდა სამხედრო მოსამსახურეებსა და მილიციელებს. ამ სიტუაციაში დაიღუპა ექვსი აზერბაიჯანელი. შინაგან საქმეთა ორგანოების ასზე მეტმა თანამშრომელმა და სამხედრო მოსამსახურემ მიიღო სხვადასხვა სიმძიმის სხეულის დაზიანება.

1 მარტისათვის მოხერხდა უწესრიგობათა აღკვეთა. მოვლენათა გულმოდგინე გამოძიების შედეგად დაპატიმრებულია 94 თაოსანი და მონაწილე, ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ გამოარკვიონ მიზეზები და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყო დანაშაულებრივ გამოვლინებებს.

— პატივცემულო ალექსანდრე, მე თებერვლის ამ ტრაგიკულ ამბებამდეც რამდენჯერმე ვყოფილვარ სუმგაითში. ორასათასიანი ქალაქი დიდი, მოუვლელი დაბის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ ხრულიად ხელმიუვებული აღმოჩნდა მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა. დილიდან საღამომდე ქუჩებში დაეხეტებოდნენ ბავშვები, არ იცოდნენ სად დაეხარჯათ თავიანთი დაუშრეტელი ენერგია. უწესრიგობათა დროს სწორედ ყმაწვილები, რომლებიც თავიანთი ასაკით განსჯადი არ არიან, ჩათრეული იყვნენ ამბების ორომტრიალში. თქვენი აზრით, ქალაქში შექმნილი ახეთი ვითარება ხომ არ იყო უწესრიგობათა მიზეზი, ხოლო მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ამბები — ჩირაღდანი, რომელსაც ხანძარი მოჰყვა?

— დიახ, მართლაც, სუმგაითელებს საკმარისზე მეტი უკმაყოფილება დაუგროვდათ. ქალაქში კატასტროფულად აკლიათ ბინები. ამის შედეგად სწრაფად განვითარდა თვითნებური განაშენიანება, რომელიც მოკლებულია ელემენტარულ კომფორტს. ადამიანის ღირსებისათვის ასეთ დამამცირებელ პირობებში ხალხი დროებით კი არ ცხოვრობდა, არამედ სამუდამოდ. სუმგაითელთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს ეკოლოგიური ვითარება ქალაქში. ატმოსფეროს დაბინძურება სუმგაითში დასაშვებ ნორმებზე მაღალია. ხალხი ამას სამართლიანად უკავშირებს მრავალი სენის, განსაკუთრებით ბავშვთა დაავადებების გავრცელების მიზეზს. თქმა არ უნდა, ყოველივე ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა განწყობილებაზე და იგი ერთ-ერთი საბაბი გახდა იმისა, რომ ხალხი ქუჩებში გამოვიდა. იქ კი უკვე მოქმედებდნენ წამქეზებლები, რომლებიც იყენებდნენ ნაციონალისტურ ლოზუნგებს და მოუწოდებდნენ დარბევისათვის, ძარცვა-გლეჯისათვის, მკვლელობებისათვის.

— საყურადღებოა, რომ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა არსებითად დაკარგეს კონტროლი ყოველივე იმისადმი, რაც ხდებოდა. რატომ, არ ეყოთ ავტორიტეტი? იმ დღეებში სიმაღლეზე არ აღმოჩნდნენ ქალაქის, რესპუბლიკური მილიციის მუშაკებიც. მათ თავი ვერ გაართვეს ჯერ წამქეზებლებს და, რა თქმა უნდა, შემდეგ უკვე აბობოქრებულ ბრბოს. როგორ აფასებთ ყოველივე ამას?

— რესპუბლიკისა და ქალაქის პარტიულ-საბჭოთა მუშაკების საქციელს სუმგაითისათვის ტრაგიკულ დღეებში შეფასება მისცა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. პარტიის სუმგაითის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მუსლიმ-ზადე განთავისუფლებულია თანამდებობიდან და გარიცხულია სკპ რიგებიდან. უმოქმედობისათვის, ინიციატივობისათვის, უსუსურობისათვის მკაცრი პარტიული და დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრათ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო აღმასკომის სხვა პასუხისმგებელ მუშაკებსაც.

მართალს ბრძანებთ, მილიციის მუშაკებიც ვერ აღმოჩნდნენ სიმაღლეზე. მათ ოპერატიულად ვერ განახორციელეს გადამჭრელი ღონისძიებანი იმისათვის, რომ წესრიგი დაემყარებინათ და დაეცვათ მოქალაქეთა უშიშროება ექსტრემალურ პირობებში. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ მათმა ნაწილმა გამოავლინა უსულგულო დამოკიდებულება გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანების ბედისადმი. მხოლოდ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მტკიცე ჩარევის შემდეგ ამოქმედდნენ დამატებითი ძალები. უწესრიგობათა ლოკალიზაციისთვის მოგვიხდა ქალაქში შეგვეყვანა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები. როგორც უკვე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის პროკურატურა იძულებული იყო აღეძრა სისხლისსამართლებრივი საქმე მილიციის მუშაკთა მიმართ, რომლებიც გულგრილად მოეკიდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. მიმდინარეობს გამოძიება.

— დაგვეთანხმებით, პატივცემულო ალექსანდრე, რომ „სუმგაითის საქმე" სცილდება ყოველივე იმის ფარგლებს, რასაც იძიებდა უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ქვეყნის პროკურატურა. ეს, როგორც ჩანს, გარკვეულ სიძნელეებს იწვევს თქვენს მუშაობაში. თუ ასეა, რა სიძნელეებია ეს?

— ეს საქმე მართლაც უპრეცედენტოა. არ შევცდები შემთხვევაში თუ ვიტყვი, რომ თებერვლის დამლევს შემთხვევის ადგილი იყო მთელი ქალაქი და მისი მიკრორაიონები, უბნები, მრავალი ბინა. სისხლისსამართლებრივი საქმე ქალაქ სუმგაითის პროკურორმა აღძრა 28 თებერვალს, მაშინვე, როგორც კი გაჩნდნენ ძალმომრეობის პირველი მსხვერპლნი. 1 მარტს ეს საქმე წარმოებისათვის მიიღო სსრ კავშირის გენერალური პროკურორის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა ვ. ს. გალკინმა. საქმის ხასიათის, მისი გაზრდილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობისა და მუშაობის მოცულობის გათვალისწინებით შეიქმნა საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც შეყვანილი არიან სსრ კავშირის პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველაზე კვალიფიციური გამომძიებლები. მუშაობის პროცესში ჩვენ უნდა გამოგვევლინოთ მასობრივ უწესრიგობათა ორგანიზატორები, აქტიური მონაწილეები, დაგვედგინა დანაშაულებრივი ხელყოფათა გარემოებანი. მრავალი სირთულეა. სულაც არ არის იოლი, განსაზღვრო უწესრიგობათა მონაწილეების როლი და მოქმედება, ყველაფერი, რაც ხდებოდა, დაალაგო ეპიზოდებად, დახვეწო შესაძლო ვერსიები.

გამომძიებლებმა, კრიმინალისტებმა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა, რომლებიც გულმოდგინედ მუშაობდნენ, მოკლე დროში დაადგინეს დაღუპულთა პიროვნებანი, დანაშაულობათა ჩადენის ადგილები, მიყენებული სხეულის დაზიანებების სიმძიმის ხარისხი.

უეჭველია, რომ მოძალადეთა შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც გარემოებათა ნებით მოხვდა ბრბოში. მაგრამ იყვნენ თავგამოდებული პროვოკატორებიც, ბანდიტებიც. სწორედ ახლა უნდა დავადგინოთ, ვინ ვინ არის. მაგრამ ჩვენთვის უკვე ნათელია, რომ ყველანი, ვინც კლავდა, ძარცვავდა და ძალადობდა თებერვალში სუმგაითში, ქალაქის მოსახლეობის უმცირეს ნაწილს შეადგენენ.

გამოძიებას კვლავ ხელს უშლის ათასგვარი მონაჭორები „სუმგაითის საქმის" გამო. კერძოდ, ვრცელდება ხმები, თითქოს მასობრივ უწესრიგობათა წინ ქალაქში ადგენდნენ სომხური ეროვნების პირთა სიებს, რათა ფიზიკურად მოესპოთ ისინი; რომ მთელ რიგ საწარმოებში სპეციალურად ამზადებდნენ ლითონის წკეპლებსა და სხვა საგნებს; რომ კავშირგაბმულობის კვანძების მუშაკებმა წინასწარგანზრახულად გამორთეს ტელეფონები სომხეთა ბინებში. და ასე შემდეგ. ამ და სხვა ამგვარი ცნობების შესამოწმებლად გამომძიებლებმა დაკითხეს უამრავი სუმგაითელი, საწარმოთა მუშები, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების, კავშირგაბმულობის კვანძებისა და სხვა სამსახურების თანამშრომლები. და არც ერთი ეს განცხადება არ დადასტურდა.

სულ ახლახან საგამოძიებო ჯგუფს მოუვიდა სომხეთის მცხოვრების გ. ბ. ულუბაბიანის წერილი, რომელსაც მან დაურთო სუმგაითში მცხოვრებ მოქალაქის ა. გ. გრიგორიანის განცხადება. განცხადებაში ნათქვამია, რომ მასობრივ უწესრიგობათა დროს მას დაეღუპნენ ცოლი და სამი შვილი. ამ გარემოებასთან დაკავშირებით ა. გ. გრიგორიანმა 4 ივლისს სსრ კავშირის პროკურატურის გამომძიებელს სიტყვასიტყვით უთხრა შემდეგი: „...ჩვენ ყველანი ცოცხლები ვართ, მე, ჩემი ცოლი, ვაჟიშვილი პაველ და ქალიშვილი ელენე. ვაჟიშვილი ვლადიმერი არასოდეს არ მყოლია. იმის შესახებ, თითქოს დამეღუპნოდნენ ცოლი და შვილები, არასოდეს არ განმიცხადებია და ამის გამო მოსკოვში არ გავმგზავრებულვარ. მე წარმომადგენს ჩემი სახელით დაწერილი საბუთის პირი. მაგრამ ხელმოწერა ჩემი არ არის, მე ასე არ ვაწერ ხელს. ცნობები, რომლებიც ამ განცხადებაშია მოყვანილი, მოჩმახულია".

— ცნობილია, რომ მშრომელთა სურვილების დასაკმაყოფილებლად გადაწყვეტილია მთელი რიგი სისხლისსამართლებრივი საქმეები განიხილონ რუსეთის ფედერაციის სასამართლოებში. როგორ აფასებთ ამას?

— ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია ობიექტურობის მაქსიმალური უზრუნველყოფისათვის. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განსჯადობას განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო.

— ხმები დადის, „სუმგაითის საქმის" გამოძიება ჩიხში მოექცაო. მართლა ასეა?

— სსრ კავშირის პროკურატურა ყველაფერს ღონობს, რათა გამოძიება რაც შეიძლება უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდეს. მე უკვე ვთქვი, რომ მკვლელობის, ძარცვის, ძალმომრეობისა და სხვა დანაშაულობათა ჩადენისათვის სადღეისოდ სამართალში მიცემულია 94 კაცი. სასამართლოში უკვე გაიგზავნა 29 განსასჯელის 19 სისხლისსამართლებრივი საქმე. ისმაილოვის საქმის შემდეგ, რომელზეც ლაპარაკი იყო პრესაში, სასამართლოში განხილულია კიდევ ექვსი საქმე. მათ შორის არის მემანქანის თანაშემწის აიდინ იბიშოვის საქმე, რომელმაც გარშემო შემოიკრიბა ხულიგნები, მოუწოდებდა გასწორებოდნენ სომხებს, სათავეში ჩაუდგა ლითონის წკეპლებით შეიარაღებულ თანამზრახველებს და თავს ესხმოდა სამხედრო მოსამსახურეებს. ხულიგნურ მოქმედებაში ამხილეს და გაასამართლეს №7 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე იამარ ლარიბოვი, რომელმაც სხეულის დაზიანება მიაყენა მოქალაქე ე. სარქისიანს. სასამართლოში გაიგზავნა და მალე განიხილავენ კიდევ რამდენიმე საქმეს მკვლელობებისა და სხვა დანაშაულებრივი ხელყოფის შესახებ, რომლებიც მოხდა სუმგაითში.

— ახეთი კითხვა: ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნამ, საჯაროობამ, დემოკრატიზაციამ ხომ არ შექმნა ყოვლისშემწყნარებლობის ვითარება, რასაც ასე თუ ისე მოწმობს სუმგაითიც?

— კითხვა ფრიად აქტუალურია. სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე ხაზგასმულია, რომ პირადი უფლებებისა და თავისუფლებების დამკვიდრება, დემოკრატიისა და საჯაროობის გაფართოება უნდა ხდებოდეს კანონიერების განმტკიცებასთან, კანონის უთუო პატივისცემის ჩანერგვასთან მჭიდრო კავშირით. დემოკრატიზაცია, ნათქვამია მოხსენებაში, ვერ იგუებს თვითნებობას, უპასუხისმგებლობასა და თავაშვებულობას. მართლწესრიგის, საბჭოთა ადამიანების პირადი ხელშეუხებლობის, მათი პატიოსნების, ღირსებისა და ქონების დასაცავად გამოყენებული იქნება კანონის მთელი ძალა.

გარდაქმნის პირობებში იზრდება საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და სოციალური აქტიურობა. სულ უფრო აქტიურად ესხმება ხორცი სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებულ კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობების, დემონსტრაციების თავისუფლებას. შექმნილია პირობები იმისათვის, რომ ყოველი პრობლემა, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს, ყოველმხრივ იყოს განხილული და აწონ-დაწონილი, იზრდება საზოგადოებრივი აზრის როლი. მაგრამ ჩვენ თვალს ვერ დავხუჭავთ იმაზეც, რომ ზოგიერთი უპასუხისმგებლო, ექსტრემისტულად და ნაციონალისტურად განწყობილი პირი ცდილობს საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესი გამოიყენოს პროვოკაციული მიზნით, ანტისაზოგადოებრივი განწყობილებების გასაღვივებლად, რაც ხშირად საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უშიშროებას და მოქალაქეთა უფლებებს. ასეთი ცდები მტკიცედ აღიკვეთება. ეს ხაზგასმულია ამ დღეებში გამოქვეყნებულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებშიც „სსრ კავშირში კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და მოწყობის შესახებ".

სუმგაითი კი... წესრიგი იქ აღდგენილია. მაგრამ თებერვლის საშინელი დღეები უკვალოდ ვერ გაქრება ჩვენი მეხსიერებიდან, ყველა დამნაშავეს საკადრისად უნდა მიეზღოს.

სსრ კავშირის პროკურატურა განაგრძობს გამოძიებას.

(საქდესის კორ.).

1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის

ქალაქ ლვოვში 1988 წლის 15 აგვისტოს გამართული ნაწ... მოგებათა ტირაჟის ოფიციალური ცხრილი.

მოგება ხვდა სესხის ორმოცივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
200274	059*)	500	233459	065*)	2500	263644	1—100	100
202054	046*)	1000	234358	1—100	250	264051	004*)	2500
202204	1—100	250	234743	071*)	500	264150	048*)	1000
202638	028*)	1000	234760	073*)	1000	264268	1—100	100
203212	079*)	1000	235016	1—100	100	264657	1—100	100
204426	027*)	1000	235529	1—100	250	265082	022*)	2500
205000	1—100	100	235726	034*)	1000	265574	043*)	1000
205294	032*)	1000	236599	1—100	250	266015	009*)	2500
205323	1—100	100	236741	033*)	500	266210	019*)	500
205594	040*)	500	236888	1—100	250	266838	015*)	2500
205964	035*)	500	237312	074*)	2500	267594	009*)	1000
206013	081*)	500	237366	1—100	100	267670	060*)	1000
206162	001*)	500	237432	1—100	100	268326	1—100	500
206330	1—100	100	237543	1—100	100	269470	075*)	1000
206485	046*)	1000	238380	052*)	1000	269739	1—100	250
206524	090*)	1000	238517	071*)	2500	269784	085*)	500
206785	1—100	100	238966	090*)	500	270132	073*)	1000
207196	1—100	500	239288	1—100	100	271085	024*)	1000
207267	1—100	250	239448	1—100	100	271520	1—100	100
207455	059*)	500	239622	1—100	250	272050	088*)	1000
208009	1—100	100	240583	024*)	500	272155	056*)	500
208385	1—100	250	240604	058*)	1000	272174	046*)	1000
209250	1—100	100	240702	008*)	1000	275895	1—100	100
209650	078*)	2500	241029	1—100	100	276770	066*)	500
210193	1—100	250	241620	1—100	100	276990	083*)	500
210321	012*)	500	241973	090*)	10000	278589	020*)	1000
210428	037*)	1000	242352	038*)	5000	279244	023*)	500
211209	1—100	100	242729	008*)	500	280628	009*)	1000
211472	057*)	500	243215	009*)	500	280680	028*)	1000
212207	066*)	2500	243514	039*)	500	281848	036*)	2500
212473	068*)	2500	244411	070*)	2500	282303	1—100	250
212643	1—100	100	246014	034*)	1000	282369	051*)	1000
212655	013*)	1000	246113	048*)	500	282455	087*)	1000
213171	022*)	1000	246149	071*)	500	283438	1—100	100
213270	1—100	250	247454	1—100	250	283706	047*)	1000
213645	044*)	2500	247569	039*)	2500	283841	1—100	100
213719	1—100	250	248902	028*)	5000	283962	002*)	500
214005	080*)	500	249167	088*)	1000	284471	100*)	1000
214187	1—100	250	249705	074*)	500	284672	076*)	1000
215902	003*)	500	249768	1—100	100	285142	097*)	1000
217484	083*)	500	250230	1—100	100	285800	087*)	500
217559	1—100	100	251088	1—100	100	286323	005*)	1000
217732	1—100	250	251232	007*)	500	286333	034*)	500
218360	046*)	500	251821	050*)	1000	286975	1—100	100
219693	028*)	1000	251984	1—100	100	287880	047*)	500
220245	100*)	2500	252392	041*)	1000	287993	1—100	250
220356	076*)	500	252801	071*)	500	288221	013*)	500
220798	061*)	5000	253401	066*)	500	288244	1—100	100
220843	013*)	1000	253562	1—100	250	288971	008*)	500
222081	019*)	1000	254477	1—100	100	290026	024*)	500
222354	075*)	2500	255107	004*)	1000	290445	057*)	500
226019	008*)	500	255741	1—100	250	290875	042*)	1000
226108	065*)	1000	255757	1—100	100	291283	1—100	250
226292	1—100	250	257010	093*)	1000	292696	1—100	100
226464	086*)	500	257827	091*)	5000	292910	1—100	100
227960	065*)	2500	258567	086*)	1000	293520	1—100	250
228121	025*)	1000	258957	1—100	250	293805	1—100	100
228129	059*)	1000	259415	1—100	100	294271	100*)	1000
228379	1—100	100	260070	020*)	500	295793	039*)	500
228616	1—100	100	260119	046*)	500	296673	1—100	100
229053	1—100	250	260608	081*)	2500	296946	029*)	2500
230520	055*)	5000	260694	032*)	1000	297651	072*)	500
230717	046*)	500	261070	029*)	1000	297704	039*)	1000
232056	068*)	500	261328	1—100	250	298257	039*)	500
232708	006*)	2500	261550	1—100	100	298653	031*)	1000
233080	050*)	1000	262528	073*)	500	299691	1—100	100
233182	004*)	1000	262647	1—100	100			

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 99 ნომერს ხვდა 100 მანეთი მოგება თითოეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ორმოცდაათმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი. ასმანეთიან ობლიგაციებზე 100, 250, 500 მანეთის თანაბარი ოდენობით მოგების შემთხვევაში მოგებული სერიის ყველა ნომერზე შესაბამისად გაიცემა 200, 500 და 1000 მანეთი. ასმანეთიანი ობლიგაციის ერთ-ერთ ნომერზე 500, 1000, 2500, 5000 და 10.000 მანეთის მოგების შემთხვევაში მეორე ნომერზე მოგება იქნება 100 მანეთი და ობლიგაციაზე შესაბამისად გაიცემა 600, 1100, 2600, 5100 და 10.100 მანეთი. 25-მანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა ორმოცდაათმანეთიან ობლიგაციაზე მოგების ნახევარი. მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც სსრ კავშირის შემნახველი ბანკის დაწესებულებანი მოგებას გასცემენ დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე — ლვოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ს. ცისი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ა. ბრიტკოვა.

გუშინ — დღეს — ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ყურს უგდებს პლანეტის მაჯისცემას

● **დღე-ღამეში** 24 საათის განმავლობაში გადასცემენ ტელეტაიპები პლანეტის ყველა კუთხეში სსრ კავშირსა და საზღვარგარეთ მომხდარი მოვლენების შესახებ ინფორმაციას, და ყოველი ცნობის ქვეშ არის ლაკონიური ხელმოწერა „საქდესი".

„საქდესი იუწყება..."— ასე ეწოდება ახალ წიგნს, რომელიც პოლიტგამომცემლობამ გამოუშვა 75-ათასიანი ტირაჟით.

ამავე წიგნში საქდესის ცნობილი ჟურნალისტები გვიამბობენ საბჭოთა საინფორმაციო სამსახურის შექმნის, ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი დეპეშათა სააგენტოს საქმიანობაზე, რომელიც ინფორმაციით უზრუნველყოფს 4 ათას საბჭოთა გაზეთს, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს, ათასზე მეტ საზღვარგარეთულ გამოცემას.

კრებულში შეტანილია მწერლების ვ. კატაევის, კ. პაუსტოვსკის, ვ. მაიაკოვსკის მოგონებები, რომლებიც აშუქებენ საქდესის ისტორიის ნაკლებად ცნობილ ფურცლებს.

წიგნი გათვალისწინებულია ფართო წრის მკითხველისათვის.

კეთილი „ფერია" დიანა

● **ასე** უწოდეს სოხუმის მე-12 საშუალო სკოლის მერვეკლასელ დიანა ლაჭავას. დაინახა თუ არა, როგორ უსუსურად ფართხალებდა გოგონა ზღვაში, იგი წყალში გადაეშვა. ნაპირზე მან გოგონას აღმოუჩინა პირველი დახმარება, შემდეგ კი ტელეფონით გამოიძახა სასწრაფო დახმარების მანქანა.

ეს მოხდა სოხუმში, შუქურის მიდამოებში. დიანას მიერ ... ლეულთა გადარჩენისათვის".

გზა გადავუკეტოთ ბრაკონიერებს

● **თბილისის** სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციის ინსპექტორებმა ალგეთის ხეობაში მაშინ მიასწრეს ბრაკონიერ ვ. ხარჩენკოს, როდესაც 10 შაშვი მოეკლა. ამ სამარცხვინო საქციელისათვის ხარჩენკო 50 მანეთით დაჯარიმეს და სანადირო თოფიც ჩამოართვეს.

სარაიონთაშორისო ნადირობის სახელმწიფო ინსპექცია, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს 28 რაიონს ემსახურება, ყველაფერს ღონობს ნადირ-ფრინველთა დაცვისათვის. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონის ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორმა ა. გულვერდაშვილმა გამოავლინა სოფ. ჯიგრაშენში მცხოვრები ბრაკონიერი ქ. საჭიდი, რომელმაც შველი მოკლა. ბრაკონიერის მიმართ აღძრულ საქმეს იძიებს თეთრი წყაროს რაიონის პროკურატურა. ბოლნისის რაიონის სახელმწიფო ინსპექტორმა ბ. ფილიევმა ასევე დროულად გამოავლინა მარნეულის რაიონის სოფ. ულიანოვკაში მცხოვრები ბრაკონიერი რ. სპირიდონოვი, რომელმაც ასევე შველი მოკლა.

ზოგიერთი ულირსი მოქალაქე სახელმწიფო ნაკრძალებში დაცულ პირუტყვსაც ხელყოფს, რაც კანონით უმძიმეს დანაშაულად ითვლება. სახელდობრ, მცხეთის რაიონის სოფ. გლდანში მცხოვრებნი ა. ძიძავა და თ. ბიჩინაშვილი, თიანეთის რაიონის სოფ. ნაქალაქევში მცხოვრები თ. ჯულაყაშვილი და სხვები შველზე ნადირობდნენ საგურამოს ნაკრძალისა და თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. ყველა მათგანის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ჩვენი სატკივარი და საზრუნავი

● **მოსკოვი,** 19 აგვისტოს „სოვინცენტრში" გაიმართა გამოჩენილი საბჭოთა მოჭადრაკეების (მათ შორის იყვნენ გ. კასპაროვი და ა. კარპოვიც) ერთდროული თამაშის საქველმოქმედო სეანსი. ამ ღონისძიებით მიღებული მთელი სახსრები ინვალიდ ბავშვებს მოხმარდება. უჩვეულო მატჩის ინიციატორი იყო საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდი.

— ბავშვები ჩვენი სატკივარი და საზრუნავია, — თქვა ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ, მწერალმა ა. ლიხანოვმა. — ვცდილობთ დავეხმაროთ ყველა გაჭირვებაში მყოფ პატარა მოქალაქეს. ამ გზაზე, რა პარადოქსულიც უნდა იყოს ეს ჩვენი საზოგადოებისათვის, გვიხდება მრავალი ორგანიზაციული, სამედიცინო და მატერიალური სირთულის დაძლევა. არ გვყოფნის წამლები, სამედიცინო აღჭურვილობა. ამ მიზნებისათვის უცხოური ვალუტის შეგროვება ჩვენი უპირველესი ამოცანაა.

საქველმოქმედო აქციები უკვე განახორციელეს ჩვენმა მსახიობებმა, მაგრამ სპორტსმენების მხრივ ასეთი წინადადება პირველად მივიღეთ. იმედი გვაქვს, რომ მას მხარს დაუჭერენ. რატომ არ უნდა გადავიღოთ ფრანგი ფეხბურთელის მ. პლატინის მაგალითი და არ მოვაწყოთ საბჭოთა სპორტის ვარსკვლავების გამოსათხოვარი მატჩები, რომელთა შემოსავალი ბავშვთა დახმარების კეთილშობილურ მიზნებს მოხმარდებოდა.

და კვლავ სტიქია

● **წლევანდელმა** ზაფხულმა კოკისპირული წვიმებით დიდი სიძნელეები შეუქმნა ცაგერის რაიონის მოსახლეობას. მაგრამ 18 აგვისტოს თავსდატეხილი წყლის სტიქია ტრაგიკული აღმოჩნდა: მან იმსხვერპლა ადამიანი — დაიღუპა სოფელ ზოგიშის კოლმეურნე შოთა ჩიქოვანი.

ხანგრძლივი კოკისპირული წვიმების შემდეგ ადიდებულმა მდინარეებმა კვლავ დაანგრიეს დიდი გაჭირვებით აღდგენილი კომუნიკაციები, ხიდები, გზები, დაიტბორა სოფლის სავარგულები.

ამჯერადაც მოწყვეტილი აღმოჩნდა კურორტი ლაშეჭალა — მასთან ყველა მისასვლელი გადაკეტა აბობოქრებულმა მდინარე ლაჯანურმა. აქ ერთადერთი ტრანსპორტია ვერტმფრენავები, რომლითაც ხალხი გადაჰყავთ. სპეციალურად შექმნილი მთავრობის რესპუბლიკური კომისია სწავლობს ვითარებას ადგილზე. რაიონის მოსახლეობას საჭირო დახმარებას უწევენ.

რუბრიკისათვის გამოყენებულია საქდესის, საქინფორმისა და „კომუნისტის" კორესპონდენტთა მასალები.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

არც ახლა დავარღვევთ საგზაო მოძრაობის წესებს!

მ. გოგოხიას ფოტო.

სპორტის ამბები

ჩემპიონატი კი დასრულდა, ოღონდ...

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საკავშირო საჭადრაკო პირველობა დასრულდა, ოღონდ ქვეყნის ჩემპიონი ჯერ კიდევ ცნობილი არ არის. დებულებით, ორმა გამარჯვებულმა — ამ შემთხვევაში გ. კასპაროვმა და ა. კარპოვმა — უნდა ჩაატარონ დამატებითი მატჩი ოთხი პარტიიდან, ხოლო თუ ეს მატჩიც ფრედ დამთავრდა, ბრძოლას ჩემპიონობისათვის უკვე პირველ მოგებამდე გააგრძელებენ. ხვალ, 22 აგვისტოს, გაიმართება სასტარტო პარტია — თეთრებით (წილისყრით) ა. კარპოვი ითამაშებს. ყოველივე ეს შევიტყვეთ მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილების შემდეგ, რომელიც პარასკევს გამოცხადდა ტურნირის საზეიმო დახურვისას. ცერემონიალზე სიტყვა ითხოვა ა. კარპოვმა, რომელმაც განაცხადა: საკმაოდ დაღლილი ვარ ჩავლილი ასპარეზობის მკაცრი რეგლამენტით, ძირითად და დამატებით ტურნირებს შორის დადგენილი საკმაოდ ხანმოკლე შესვენებაც არ მაკმაყოფილებს, და ამიტომ მთლად დარწმუნებული როდი ვარ, რომ შევძლებ პაექრობის გაგრძელებას. ა. კარპოვის შემდეგ სიტყვით გამოსულმა გ. კასპაროვმა კი თქვა, რომ სავსებით დააკმაყოფილებდა ოთხშეხვედრიანი დამატებითი მატჩი პირველ გამარჯვებამდე მისი გაგრძელების ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე, და დამსწრეთ შეახსენა, რომ ხელს აძლევს ანგარიში 2:2, რადგან კოეფიციენტთა სისტემით იგი მეტოქეზე წინ არის.

ტურნირის მთავარმა არბიტრმა, მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონმა მიხეილ ბოტვინიკმა აღნიშნა, ასეთი წარმომადგენლობითი ჩემპიონატი ჩვენში უკვე თხუთმეტი წელია არ გამართულა.

ქალოსანთა მოგზაურობა

თავისებური მოგზაურობა მოაწყვეს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში სპორტის ყველაზე ახალგაზრდა სახეობის — ათლეტური ტანვარჯიშის ოსტატებმა. სა... ვსე დარბაზებში მიდიოდა მამაკაცური ძალისა და სილამაზის დემონსტრირება. საოცარი წარმატება ხვდათ ჩვენს ათლეტებს ...

ლობანოვსკის შესახებ

— **ახლახან** ველაპარაკე ტელეფონით ლობანოვსკის და გაცნობებთ, რომ მისი მდგომარეობა გამოსწორდა. გულ-მკერდის არეში ტკივილები გაუქრა და, როგორც ჩანს, შაბათს მოსკოვში გამოფრინდება, — უთხრა 18 აგვისტოს საქდესის კორესპონდენტს ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსმა ვ. კოლოსკოვმა. ...იტალიის ქალაქ ლივორნოში ჩატარებული გამოსვლების შემდეგ კიევის „დინამოს" და საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი მიიწვიეს ევროპის საუკეთესო მწვრთნელთა სემინარზე. 17 აგვისტოს, მოხსენებით გამოსვლისას, ვ. ლობანოვსკი ცუდად შეიქნა, და იმავე დღეს სამედიცინო გამოკვლევისათვის მოათავსეს იტალიის ქალაქ აოსტის კლინიკაში. გადატანილმა ფიზიკურმა და ნერვულმა დატვირთვამ ჯერ კიდევ ამ გაზაფხულზე იჩინა თავი, გვამცნეს საქდესის კორესპონდენტს.

სატურნირო ორბიტა

◆ **ჩოგბურთი.** მინსკელმა ნ. ზვერევამ კანადის ღია პირველობის მეოთხედფინალში მოუგო მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს — ამერიკელ მ. ნავრატილოვას — 6:1, 6:4. უკვე მეორედ ამარცხებს წლევანდელ სეზონში საბჭოთა სპორტსმენი მ. ნავრატილოვას. პირველი დამარცხება ნ. ზვერევამ საფრანგეთის ღია პირველობაზე აგემა ამერიკელს.

◆ **ფეხბურთი.** გაიმართა საკავშირო პირველობის მორიგი მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე მყოფმა „სპარტაკმა" მიიღო ლიდერი, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი". მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2.

ასევე ფრედ დამთავრდა შეხვედრები: „მეტალისტი" — „დინამო" კ. 1:1, „ზენიტი"—„დინამო" მნ. 0:0, „ნეფთჩი" — „არარატი" 1:1, „ჩერნომორეცი" — „შახტიორი" 1:1. „ტორპედომ" დაამარცხა „კაირატი" 2:0, „ქალგირისმა" საკუთარ მოედანზე წააგო შეხვედრა „ლოკომოტივთან" 1:2.

◆ **კალათბურთი.** დღეს, 21 აგვისტოს იუგოსლავიაში იწყება ევროპის კალათბურთელთა ... XIII პირველობა. ... „ბ" ... რქეთი. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები ნახევარფინალში ითამაშებენ, ხოლო ამათგან გამარჯვებულები — ფინალში. ევროპის პირველობების ისტორიაში დღემდე მხოლოდ ორი გუნდი აღწევდა წარმატებას — რვაჯერ გაიმარჯვეს საბჭოთა კალათბურთელებმა, ოთხჯერ — იუგოსლავებმა. ფავორიტებად აქ ჯერადაც ამ ორ გუნდს მიიჩნევენ.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი

ტელევიზია — კვირა, 21 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვირჩევ ცას". 10.10 — „დილა მშვიდობისა". საკვირაო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — გარდაქმნის რეალიზმი. „საქეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.30 —„კინოაფიშა. 12.00 — „ჯანმრთელი რომ ვიყოთ". 12.30 — საკვირაო გამოფენა. 12.35 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. საყმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „სალამურას თავგადასავალი". 13.55 — მულტპანორამა. 14.55 — საკვირაო გამოფენა. 15.00 — „თბილისი და თბილისელები". სატელევიზიო ჟურნალი. 15.45 — საკვირაო გამოფენა. 15.50 — დღეს სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ფლოტის დღეა. 16.05—„ვესტნიკი". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.05—„ამბავი ნამდვილი ადამიანისა". მხატვრული ფილმი „ჩვენი ბავშვობის ტანგო". 18.40 — ზღაპრის გუდა. 19.00—საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მოამბე. 20.25 —მუსიკალური გასართობი პროგრამა „სალამთ ვამს". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გიწვევთ საკონცერტო დარბაზებში". 23.25 — მულტიპლიკაციური ფილმი დიდებისათვის. 23.45 — საფეხბურთო მიმოხილვა.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.15 — რიტმული ტანვარჯიში. 10.00 — ხალხური საესტრადო სიმფონიური ორკესტრის „ცისფერი ფრთების" კონცერტი. 10.20 — სპორტლოტო. 10.30 — მაუწყებლობა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — „უბედურება". სპეცგამოშვება გადაცემისა „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — „ჯანმრთელობა". სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „შებრძანდით ამ ტაძარში". 15.50 — დღეს საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ფლოტის დღეა. ვესაუბრებით სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი — თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ავიაციის მარშალი ა. ნ. ეფიმოვი. 16.05 — დოკუმენტური ფილმები. „უფრო შორს... უფრო მაღლა... უფრო სწრაფად... საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალები"; „ჩერნობილის ცაში". 16.45 — „ბოშა ქალი". მუსიკალური პროგრამა ფ. ფილიმონოვის მონაწილეობით. 17.40 — მულტფილმი. 18.05 — ინგლისური დოკუმენტური ტელეფილმი „ცოცხალი პლანეტა". VI სერია. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — საკვირაო კინოდარბაზი. 20.25 — მხატვრული ფილმი „მილიონი საქორწინო კალათში". 22.00 — „ვრემია". 22.40 — პ. ჩაიკოვსკის სიმფონია „მანფრედი" ბაირონის დრამატული პოემის სიუჟეტზე. 23.45 — საფეხბურთო მიმოხილვა. 0.15 — შეკამათებიდ და ნამუსიბეშეში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — „ვარსკვლავი". სამეცნიერო-შემეცნებითი ჟურნალი მოსწავლეებისათვის. 10.20 — ჩვენი ბაღი. 10.50 — პორტრეტები. ნ. ს. ლესკოვი. 11.50 — კინოალმანახი „მსოფლიოს გარშემო". 12.50 — გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება. ნ. ე. ჟუკოვსკი. 13.25 — XIX პარტკონფერენციის კურსით. 13.50 — რჩეული. მარტოს სარიანი. 14.50 — „სიმღერა-88". 16.15 — მხატვრული ტელეფილმი „უჩინარი". II და III სერია. 18.00 — „მოქმედი პირნი". 18.35 — მულტფილმი. 18.45 — უ. ფოლკნერი. „ბოში". ტელესპექტაკლი. 19.40 — უსაფრთხო მოძრაობისათვის. 19.45 — „საშემსრულებლო ხელოვნება". მოსკოვის კონსერვატორია. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.16 — სატანდო სროლა. 21.45 — დოკუმენტური ტელეფილმი „ცაცხვის ჩრდილში". 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრული ფილმი „შავხალათიანი თეთრი ჩიტი". 0.15 — ახალი ამბები. 0.25 — სპიდვეი. მსოფლიო ჩემპიონატი.

საკორესპონდენტო პუნქტები:

სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; სამტრედია — 2-19-90; ზუგდიდი — 2-28-40; ტყიბული — 25-82; თელავი — 3-12-09; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; ხაშური — 3-20-77; ახალციხე — 2-03-15.

რედაქციის მისამართი, ტელეფონები:

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14
მისაღები — 93-95-54, მშრომელთა წერილების განყოფილება — 93-73-34